პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი
№ 48 (11659)
პარასკევი, 26 თებერვალი, 1960 წ.
ფასი 20 კაპ.

ლენინურ შრომითს ვახტზე

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში დღითიდღე უფრო ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა იკისრა მიმდინარე წლის ოთხი თვის დავალება შეასრულოს დიდი ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის, წლიური გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 20.000 ტონა პირველი ხარისხის მარგანეცი.

კალინინელები მართლაც რომ თავდადებულად და მამაცურად შრომობენ. ისინი ლენინურ შრომითს ვახტზე დგანან და დავალებას 110-115 პროცენტით ასრულებენ. ამ დღეებში აქ კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი შეიტყეს. კალინინელებმა ისევ გაიმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოიპოვეს პირველი ადგილი და კვლავ შეინარჩუნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ახალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევს ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივიც, რომელსაც რესპუბლიკურ შეჯიბრებაში [illegible]. დიადი თარიღების ღირსეულად შეხვედრისათვის მაღაროელები შ. გურაბანიძე, შ. აბრამიშვილი, მ. ლულუნიშვილი, [illegible], ბ. კაპანაძე, [illegible] და სხვები ლენინურ შრომითს ვახტზე დგანან და დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებენ. კალინინის სახელობის მაღაროში კვლავ წინ მიდის კომუნისტური შრომის ცვლა, რომელსაც ო. ლორია ხელმძღვანელობს. მან წელს სამშობლოს გეგმის გადამეტებით უკვე მისცა 500 ტონაზე მეტი მარგანეცი.

ს ი მ ი ნ დ ი — ს ი უ ხ ვ ი ს წ ყ ა რ ო!

გავადიდოთ სიმინდის მარცვლისა და მწვანე მასის მოსავალი!

ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მიმართვა საქართველოს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, მექანიზატორებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ქვეყნის, სოფლის მეურნეობის მშრომელები ამჟამად ცხოვრობენ და შრომობენ მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის მიერ მიღებულმა ისტორიულმა კანონებმა და საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა გამოიწვიეს. სოფლად ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება დიდი ძალა ხდება შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში, ხელს უწყობს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აურაცხელი რეზერვების მობილიზაციასა და ამოქმედებას.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რაიონში, ისევე როგორც მთელ ჩვენს რესპუბლიკაში, მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების, მათ შორის მეცხოველეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოების გადიდებაში, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. პარტიის მიერ ჩვენს წინაშე დაყენებული ამოცანა, რომ უმოკლეს ვადაში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, ბევრ რამეს გვავალებს. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა დიდად არის დამოკიდებული ძვირფასი დიდმოსავლიანი კულტურის — სიმინდის ნათესების გაფართოებაზე და, რაც მთავარია, სიმინდის მარცვლისა და მწვანე მასის მოსავლიანობის გადიდებაზე. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ სიმინდის მწვანე მასა ცხოველის კარგი საკვებია და რომ რძიან-ოდოში სიმინდისაგან დამზადებული სილოსი მაღალხარისხოვანი და ყუათიანი საკვებია.

1959 წელს რაიონში დამზადებულმა 33.000 ტონა სილოსმა საშუალება მისცა ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებს სუსხიანი ზამთრის პირობებში უზრუნველყონ პირუტყვის არათუ კარგად გამოზამთრება, არამედ წველადობის გადიდებაც წინა წლებთან შედარებით.

ჩვენი რაიონის მშრომელებმა თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს სიმინდის მოსავლიანობის გადიდებისათვის 1959 წელს. საგრძნობლად გაიზარდა მარცვლეულის საერთო მოსავალი წინა წლებთან შედარებით. რაიონის კოლმეურნეობებმა შარშან საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 28 ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან ჰექტარზე საშუალოდ 50 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, ხოლო ამ კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომლის ხელმძღვანელია ამხ. დ. ახალბედაშვილი, 27 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 77,5 ცენტნერი მიიღო.

სოფელ საბუის კოლმეურნეობის ახალგაზრდულ-კომკავშირულმა რგოლმა, რომელსაც ამხ. მაყვალა ხუტიაშვილი ხელმძღვანელობს, 8 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა საშუალოდ 29 ცენტნერი, თვით მერგოლურმა ხუტიაშვილმა კი მიჩენილ ერთ ჰექტარზე 40 ცენტნერი მარცვალი. სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობის მოწინავე მესიმინდეს გ. გიგოლაშვილს მთელი რიგი წლების მანძილზე 6.6 ტონა სიმინდი მოჰყავს ჰექტარზე. გრემის მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს ნ. ფციქრიშვილს ყოველწლიურად ჰექტარზე 40 ცენტნერზე მეტი სიმინდი მოჰყავს.

განვიხილეთ რა გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები და 1960 წლის ამოცანები, **ჩვენ, რაიონული შეკრების მონაწილენი, მივმართავთ საქართველოს ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის მუშებს, მექანიზატორებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს განვახორციელოთ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა 1960 წელს თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, რაც შეიძლება უფრო სრულად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები სიმინდის უხვი მოსავლის მიღებაში და ამით უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი ზრდა.**

ამასთან დაკავშირებით ვკისრულობთ:

მიმდინარე წელს დავთესოთ მარცვლის მისაღებად 4.500 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად 1959 წელს დათესილი 3.200 ჰექტარისა და მოვიყვანოთ 300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 60 ცენტნერი, 350 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 50 ცენტნერი, 720 ჰექტარი ფართობის 1 ჰექტარზე — 40 და 3.130 ჰექტარი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 30 ცენტნერი, იმ ვარაუდით, რომ რაიონში სიმინდის ნათესი მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ სულ მცირე 35-40 ცენტნერი მარცვალი, რაც 7-12 ცენტნერით მეტი იქნება 1959 წლის მოსავალთან შედარებით.

დავთესავთ ნაწვერალზე რძიან-ოდოში სასილოსე სიმინდის ასაღებად 5.000 ჰექტარს ნაცვლად 1959 წელს დათესილი 2.510 ჰექტარისა და უზრუნველვყოფთ ჰექტარზე 350 ცენტნერი მწვანე მასის მიღებას ნაცვლად შარშანდელი 150 ცენტნერისა.

მიმდინარე წელს ჩავდებთ 35 ათას ტონა სილოსს, აქედან 30.000 ტონას სიმინდის მაღალხარისხოვან სილოსს, ერთ ძროხაზე სულ მცირე 10-12 ტონის რაოდენობით, და, გარდა ამისა, ყველა კოლმეურნეობაში შევქმნით სილოსის მარაგს ღორის, ცხვრისა და სხვა სახეობათა პირუტყვის საკვებად.

ფართოდ დავნერგავთ ჩვენს პირობებში საქვეყნოდ ცნობილი მექანიზატორების ალექსანდრე გიტალოვისა და ნიკოლოზ მანუკოვსკის მოწინავე გამოცდილებას ნათესების კომპლექსური მექანიზაციის წესით დამუშავებაში, რისთვისაც მაღალი წარმადობით გამოვიყენებთ კვადრატულ-ბუდობრივი წესით სათეს მანქანებს. ჩვენი რაიონის კოლმეურნეები, მექანიზატორები, საბჭოთა მეურნეობის მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები კისრულობენ ვალდებულებას მიმდინარე წელს მოიყვანონ სიმინდის უხვი მოსავალი.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ახოშვილმა ვალდებულება აიღო წელს მარცვლის მისაღებად დათესოს 373 ჰექტარი სიმინდი და მიიღოს საშუალოდ ჰექტარზე 40 ცენტნერი, სასილოსედ დათესოს 300 ჰექტარი და აიღოს რძიან-ოდოში სიმინდი ჰექტარზე 400 ცენტნერი, შეამციროს ერთი ცენტნერი სიმინდის თვითღირებულება 20 მანეთამდე ნაცვლად 1959 წლის 43 მანეთისა.

გადიდებული ვალდებულება იკისრა ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. სამიტაშვილმა — მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 40 ცენტნერი მარცვალი.

შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ნ. კურდღელაშვილმა პირობა დადო, რომ მიმდინარე წელს კომპლექსური მექანიზაციის წესით ბრიგადა დაამუშავებს 150 ჰექტარ სიმინდის ნათესს, ამისათვის ყოველ 50 ჰექტარზე შექმნის მექანიზატორთა თითო რგოლს 8 კაცის შემადგენლობით და მიიღებს თვითეულ ჰექტარზე 50 ცენტნერ სიმინდის მარცვალს და 400 ცენტნერ მწვანე მასას.

თავთავიანი კულტურების აღების შემდეგ აღნიშნული ბრიგადა ნაწვერალზე დათესავს და კომპლექსური მექანიზაციის წესით დაამუშავებს 300 ჰექტარ სიმინდს.

ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის საკოლმეურნეო-სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. გ. ყუდროშვილმა თანამოსაქმე მექანიზატორების სახელით იკისრა მიმდინარე წელს 80 ჰექტარი სიმინდის ნათესი დაამუშაოს კომპლექსური მექანიზაციის წესით და მიიღოს ჰექტარზე საშუალოდ 35 ცენტნერი მარცვალი და 300 ცენტნერი მწვანე მასა.

კარგად გვესმის, რომ ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულება ყველა ჩვენგანისაგან მოითხოვს დაძაბულ მუშაობას, ყველა აგროტექნიკური ღონისძიების დროულად და ოპტიმალურ ვადებში განხორციელებას, მეცნიერების მიღწევების და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვას.

ჩვენ გადავწყვიტეთ ამ მიზნით განვახორციელოთ შემდეგი ძირითადი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მიმდინარე წელს სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანას:

1. ნიადაგის თესვისწინა დამუშავება განვახორციელოთ შემუშავებული აგროტექნიკური ღონისძიების სრული შესაბამისობით, მოვაქციოთ სიმინდის თესლი ფხვიერ გარემოში და იმ სიღრმეზე, რაც დადგენილია კლიმატური და ნიადაგური პირობების გათვალისწინებით ჩვენი ზონისათვის.
2. დავთესოთ მხოლოდ და მხოლოდ დარაიონებული ჯიშებისა („აჯამეთის თეთრი" და „ქართული კრუგი") და საუკეთესო ჰიბრიდების დაყალიბებული თესლი და მივაღწიოთ ბუდნაში თესლის საჭირო რაოდენობით ჩათესვას.
3. დავთესოთ კვადრატულ-ბუდობრივად ყველა ფართობზე, სადაც ნიადაგის რელიეფი ხელს არ გვიშლის, მოვამზადოთ ყველა საჭირო პირობა კომპლექსური მექანიზაციისათვის, თესვა დავამთავროთ ვადაზე ხუთი დღით ადრე — 25 აპრილამდე.
4. ხარწყავ პირობებში და ტენით საკმაოდ უზრუნველყოფილ ფართობებზე თითო ბუდნაში ჩავთესოთ და შევინარჩუნოთ ორი მცენარე, ე. ი. ჰექტარზე 40-42 ათასი ძირი სიმინდი. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, მშრალი ზონის პირობებში, ბუდნაში დავტოვებთ მორიგეობით ერთ-ორ მცენარეს, რაც ჰექტარზე შეადგენს 30-32 ათას ძირს.
5. იქ, სადაც ნაკვეთის მდებარეობა კვადრატულ-ბუდობრივი თესვის საშუალებას არ იძლევა, თესვა ვაწარმოოთ სათესი მანქანებით მწკრივად და დავტოვოთ მცენარეები 35-40-50 სანტიმეტრის დაშორებით ჯიშისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.
6. დროულად მოვამზადოთ სარწყავი ქსელი რწყვის სეზონისათვის, დავიცვათ რწყვის წესები და მივაღწიოთ წყლის გამოყენების კოეფიციენტს.
7. გულდასმით ვადევნოთ თვალყური სიმინდის ნათესებს აღმოცენებისთანავე, არ დავუშვათ მცენარეების დაზიანება მავნებლებისაგან, გამოვიყენოთ ორგანული სასუქები. მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ვაწარმოოთ სიმინდის ჰიბრიდიზაცია.
8. რაც შეიძლება მეტი რაოდენობით დავთესოთ სიმინდი ნაწვერალზე, გამოვიყენოთ ეს დიდმნიშვნელოვანი წყარო მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება მნიშვნელოვნად გაადიდებს სიმინდის მარცვლისა და მწვანე მასის მოსავალს, კიდევ უფრო განამტკიცებს საკვებ ბაზას, რაც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისა და შვიდწლედის მეორე წლისათვის ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების საფუძველი იქნება.

ჩვენ, ყვარლის რაიონის მშრომელებმა, გადავწყვიტეთ, რა თქმა უნდა, რაიონისათვის ძირითადი, წამყვანი დარგის — მევენახეობის შემდგომ განვითარებასთან ერთად, გავადიდოთ სიმინდის ნათესი ფართობები და საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე.

ვკისრულობთ რა ამ გადიდებულ ვალდებულებებს, მოვუწოდებთ საქართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს, მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი ამ დარგში შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დავალებით: **ა. ავაზაშვილი** — საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი, **მ. დავითაშვილი** — რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **ი. დიასამიძე** — პარტიის რაიკომის მეორე მდივანი, **გ. ჭერაშვილი** — პარტიის რაიკომის მდივანი, **კ. მამულაშვილი** — ალკკ რაიკომის მდივანი, **დ. ლაფაჩიშვილი** — რაიონული გაზეთის რედაქტორი, **ზ. ჭერაშვილი** — რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსი, **ვ. ცისკარიშვილი** — სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ნ. კურდღელაშვილი** — კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, **ნ. ახოშვილი** — ახალ სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **შ. მანძულაშვილი** — სოფელ ჭიკაანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ი. ბერიაშვილი** — სოფელ გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **მ. ხუტიაშვილი** — სოფელ საბუის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, **ო. რუსიშვილი** — ყვარლის სარემონტო-ტექნიკური სადგურის დირექტორი, **რ. ალნიაშვილი** — სოფელ შილდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ვ. ზურიაშვილი** — ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრე აგრონომი, **თ. კოკოლაშვილი** — ყვარლის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

უპატაკებენ სამშობლოს

აფხაზეთის სს რესპუბლიკამ ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. 20 თებერვლისათვის გეგმით გათვალისწინებული 4.901 ცენტნერის ნაცვლად მიყიდულია 5.015 ცენტნერი ხორცი. (საქინფორმი).

სიღნაღის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც თავდადებით იბრძვიან შვიდწლედის მეორე სამეურნეო წლის დავალებათა შესრულებისათვის, 20 თებერვლისათვის გადაჭარბებით შეასრულეს რძისა და კვერცხის სახელმწიფოსათვის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალებანი. რძის მიყიდვის დავალება შესრულებულია 102,1 პროცენტით, კვერცხისა — 100,1 პროცენტით.

მთელი რიგი კოლმეურნეობები რძისა და კვერცხის მიყიდვას აწარმოებენ მეორე კვარტალის ანგარიშში. სოფელ მაჩხაანის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ მეორე კვარტალის ანგარიშში სახელმწიფოს მიჰყიდა 72 ტონა რძე. სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის, ნუკრიანის პარიზის კომუნის სახელობის და ულიანოვკის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძისა და კვერცხის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალებანი, მეორე კვარტალის ანგარიშში აწარმოებენ რძისა და კვერცხის მიყიდვას.

ნ. ს. ხრუშჩოვი კუნძულ ბალიზე

ინდონეზია. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო სურაბაიაში, სტადიონზე მიტინგის დროს.

საქდესის ფოტოქრონიკა (სურათი მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

დენპასარი, (კუნძული ბალი), 25 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს კუნძულ ბალიზე დიდი სახალხო დღესასწაულია. აქ მყოფ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, გაიმართა ტრადიციული სახალხო სვლა. დენპასარის საზეიმოდ მორთულ მთავარ მოედანზე შეიკრიბა ქალაქის, ახლომახლო სოფლების ათასობით მცხოვრები.

ტრიბუნის წინ, რომელზეც არიან ნ. ს. ხრუშჩოვი, პრეზიდენტი სუკარნო, საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები და ინდონეზიის ოფიციალური პირები, ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ლამაზ ნაკადად მიდიოდნენ მოცეკვავე ვაჟები და ქალები, ხალხური გუნდები და ორკესტრები.

კუნძულ ბალის მცხოვრებთა სახალხო სვლის დროს დენპასარის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებმა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს უძღვნეს სხვადასხვა საჩუქრები, მათ შორის ალამი, რომლის ცისფერ ფონზე გამოსახულია მშვიდობის მტრედი, სამახსოვრო ნიშანი, მოჩუქურთმებული ხელჯოხი, რომელიც გააკეთეს საუკეთესო ბალიელმა მეჩუქურთმე ოსტატებმა.

ნ. ს. ხრუშჩოვი გულითად მადლობას უხდის მოსწავლეებს საჩუქრებისათვის. სულითა და გულით, ამბობს ნიკიტა სერგის ძე, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და მშვიდობას. თქვენი ხელოვნება მშვენიერია. თქვენ ყველანი შესანიშნავი, გასაოცარი ოსტატები და ხელმარჯვენი ხართ. ვიცხოვროთ მშვიდობითა და დავეხმაროთ ერთმანეთს.

სახალხო სვლა დამთავრდა, მაგრამ შეკრებილნი არ ტოვებენ მოედანს. მისასალმებელი შეძახილებისა და მქუხარე ტაშის გრიალში პრეზიდენტ სუკარნოს მიჰყავს ნ. ს. ხრუშჩოვი მიკროფონთან.

ძვირფასო მეგობრებო, ამბობს ნიკიტა სერგის ძე, მოხარული ვარ, რომ შეგხვდით და გესალმებით საბჭოთა კავშირის ხალხების სახელით. ტაშის გრიალში ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ მეგობრული საუბრები, რაც პრეზიდენტ სუკარნოსთან ჰქონდა, უეჭველად დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც საბჭოთა და ინდონეზიელ ხალხებს, ისე მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს. მე განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრის, ამბობს ნიკიტა სერგის ძე, რომ ვარ თქვენთან — ინდონეზიის ხალხთან, რომელმაც საკუთარი სისხლით მოიპოვა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა. მაგრამ მე, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, მინდა გაგაფრთხილოთ მეგობრულად, რომ გამარჯვება, რომელიც თქვენ მოიპოვეთ, საჭიროა ჯერ კიდევ განამტკიცოთ — თქვენ მზად უნდა იყოთ, რათა გაასამტვეროთ იმპერიალისტთა ოინები თქვენს ქვეყანაში. ამ სიტყვებს ხვდებიან მქუხარე ოვაციებით, შეძახილებით „თავისუფლება!".

იცოდეთ, ძვირფასო მეგობრებო, ამბობს დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ ჩვენი ხალხის, ჩვენი მთავრობის სიმპათიები ყოველთვის იმ ხალხთა მხარეზეა, რომლებიც იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, ამ დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს თავისუფალ ინდონეზიელ ხალხს!

გაუმარჯოს კოლონიურ ხალხთა ბრძოლას თავიანთი განთავისუფლებისათვის!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობას!

მოედანზე გაისმის ერთსულოვანი შეძახილები ნ. ს. ხრუშჩოვისა და პრეზიდენტ სუკარნოს პატივსაცემად.

მიკროფონთან მიდის ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო.

ძვირფასო მეგობრებო, ამბობს იგი, გულითადად გმადლობთ იმ აღტაცებული მიღებისათვის, რაც თქვენ გაუმართეთ ჩვენს ძვირფას სტუმარს პრემიერ ხრუშჩოვს. ამით თქვენ ცხადყოფთ თქვენს გულწრფელ სიხარულს იმის გამო, რომ იგი მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდა ინდონეზიაში. **(დამსწრეთა ოვაცია. ტაში).**

თქვენ დაინახეთ პრემიერ ხრუშჩოვს, ამბობს შემდეგ სუკარნო, თქვენი მგზნებარე სულისკვეთება. ყველა ქალაქში: ჯაკარტაში, ბოგორში, ბანდუნგში, ჯოკიაკარტაში, სურაბაიაში და აქ, დენპასარში, რომელთაც ესტუმრა პრემიერი ხრუშჩოვი, — ყველგან ინდონეზიელმა ხალხმა აღტაცებული შეხვედრით დაანახვა მას, რომ ინდონეზიელი ხალხის სული აღგზნებულია. რატომ არის აღგზნებული ინდონეზიელი ხალხის სული? იგი აღგზნებულია თავისუფლებისათვის საბრძოლველად, იგი აღგზნებულია სამართლიანი ბედნიერი საზოგადოების აშენებისათვის საბრძოლველად, იგი აღგზნებულია მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის საბრძოლველად! **(ტაში).**

არიან ადამიანები, ამბობს შემდეგ პრეზიდენტი სუკარნო, რომლებიც გვეკითხებიან, რატომ გადაწყვიტა ინდონეზიის რესპუბლიკამ ემეგობროს საბჭოთა კავშირს. მე ვუპასუხებ მათ: ინდონეზიის რესპუბლიკა მეგობრობს საბჭოთა კავშირთან იმიტომ, რომ იგი გვეხმარება და მხარს უჭერს ჩვენს ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. განა საბჭოთა კავშირი გამოდის მშვიდობის წინააღმდეგ? (შეძახილები: არა, არა!). განა საბჭოთა კავშირი გამოდის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ჩვენი ბრძოლის წინააღმდეგ? (შეძახილები: არა, არა!). რა უფლება აქვთ სხვა ქვეყნების მთავრობებს გაგვაკრიტიკონ ჩვენ საბჭოთა კავშირთან მეგობრობის გამო? (შეძახილები: ძაღლი ყეფს, იყეფოს!). სუკარნო: მართალია! ძაღლი ყეფს, ჩვენი ქარავანი კი მიდის. იყეფონ ძაღლებმა. ჩვენ კი წინ მივდივართ!

ტაშის გრიალში პრეზიდენტი სუკარნო გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას, საბჭოთა კავშირსა და დამოუკიდებელ თავისუფალ ინდონეზიას.

მოედანზე შეკრებილი ათასობით ადამიანი აღფრთოვანებით მღერის ინდონეზიის ეროვნულ ჰიმნს. სახალხო სვლა და სტიქიურად წარმოქმნილი მასობრივი მიტინგი საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ურღვევი მეგობრობის მკაფიო მანიფესტაციად გადაიქცა.

დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო განაგრძობდნენ მოლაპარაკებას იმ საკითხების გამო, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, ინდონეზიის რესპუბლიკის პირველი მინისტრი ჯუანდა, საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიო.

დღის საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვი და პრეზიდენტი სუკარნო, მათი თანმხლები საბჭოთა და ინდონეზიელი ოფიციალური პირები ესწრებოდნენ ბალიური მუსიკისა და ცეკვის დიდ კონცერტს.

რუსთავი — სუმგაითი

ტევა არ არის მეტალურგთა კულტურის სასახლის დარბაზში. პარტიულ და სამეურნეო აქტივის კრებაზე მოსულან მოწინავე მეტალურგები, ქიმიკოსები, მშენებლები, მეცემენტეები, მექანიზატორები.

ტრიბუნაზეა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხანაგი შ. თითბერიძე. იგი ამბობს:

ამ დღეებში, როცა გულდასმით გავეცანით ქალაქ თბილისის პარტიულ, სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეთა მომართვას, ჩვენ მოძმე სუმგაითიდან მივიღეთ სასიხარულო ცნობა. აზერბაიჯანელი მეტალურგები წინადადებას იძლევიან კვლავ ახალი ძალით განვაგრძოთ მათთან ტრადიციულად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება.

აქტივის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები და რწმენა გამოთქვეს, რომ ორი მოძმე სოციალისტური ქალაქის — რუსთავისა და სუმგაითის მშრომელთა შეჯიბრება ხელს შეუწყობს აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას, უზრუნველყოფს ახალ წარმატებას შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში. (საქ. კორ.).

საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატთა ჯგუფი საქართველოში

საქართველოში ორ დღეს იყო საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატთა ჯგუფი ეროვნული კრების თავმჯდომარის ჟაკ შაბან-დელმასის მეთაურობით. საფრანგეთის პარლამენტარები გაეცნენ ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

სტუმრები იყვნენ რესპუბლიკის დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში, დაათვალიერეს ქალაქის ახალშენებები, ღირსშესანიშნავი ადგილები. თბილისმა მოგვაჯადოვა, თქვა საფრანგეთის დეპუტატმა მიშელ ჟაკემ.

საფრანგეთის პარლამენტის დელეგაციის წევრები ეწვივნენ შამპანური ღვინოების ქარხანას. საწარმოს მუშაკებთან გამოთხოვებისას ჟაკ შაბან-დელმასმა თქვა, რომ ქართულ შამპანურს სამართლიანად შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს საუკეთესო მარკების შამპანურ ღვინოებს.

სტუმრებს დიდი შთაბეჭდილება დაუტოვა მცხეთაში მოგზაურობამ, სადაც მათ დაათვალიერეს ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები.

საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატები აყვნენ რუსთავში ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში. ისინი აგრეთვე ეწვივნენ მეტალურგთა კულტურის სასახლეს, გაეცნენ რუსთავის მშენებლობას. საფრანგეთის ეროვნული კრების ვიცე-თავმჯდომარემ ეჟენ კლოდიუს-პეტიმ აღნიშნა:

— ეს მშვენიერი, თანამედროვე ქალაქია.

რუსთავიდან წასვლის წინ საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ჟაკ შაბან-დელმასმა ქართველ მეტალურგებს უძღვნა მედალი, რომელზეც გამოსახულია საფრანგეთის რესპუბლიკის გერბი.

— გადმოგცემთ რა ამ მედალს, — განაცხადა ბ-ნმა ჟაკ შაბან-დელმასმა, ჩვენ გვინდა, რომ თქვენ კეთილი ხსოვნა დაგრჩეთ თქვენს საწარმოში ჩვენი დელეგაციის ყოფნის შესახებ. იმან, რაც ვნახეთ, აღტაცებაში მოგვიყვანა.

24 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ საფრანგეთის პარლამენტარების პატივსაცემად დარბაზობა გამართა, რომელმაც გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

25 თებერვალს დილით საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატები მოსკოვს გაფრინდნენ, საიდანაც განაგრძობენ მოგზაურობას საბჭოთა კავშირში. თბილისის აეროდრომზე სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ბ. გელდიაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დ. ვ. მჭედლიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ რ. რ. დვალმა, საქართველოს სსრ მინისტრებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, პრესისა და რადიოს წარმომადგენლებმა.

ვ. დ. კუპრაძემ დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ რესპუბლიკას ეწვივნენ საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატები. მან თქვა, რომ საბჭოთა ადამიანები დიდი პატივისცემითა და სიმპათიით ეპყრობიან შრომისმოყვარე და ნიჭიერ ფრანგ ხალხს, ისწრაფვიან განამტკიცონ მასთან მეგობრული კავშირი.

საპასუხო სიტყვაში საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ჟაკ შაბან-დელმასმა გულითადი მადლობა გადაიხადა თავაზიანი მიღებისათვის, რაც საფრანგეთის პარლამენტარებს მოუწყეს. მას შემდეგ, განაცხადა მან, რაც ორი დღე გავატარეთ მოსკოვში, შემდეგ კი სამი დღე უზბეკეთში, ჩვენი აზრით, ძალიან ცოტა ხანს დავრჩით აქ, მაგრამ ამ მართლაც მოკლე ხანში დავრწმუნდით, თუ რა რეალური მიღწევები მოუპოვებია ქართველ ხალხს.

უკვე ახლა, ხაზი გაუსვა საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ, ბევრი რამ გავიგეთ საბჭოთა კავშირში, რაც საშუალებას მოგვცემს ვიბრძოლოთ მომავალში საყოველთაო გაგებისათვის.

დასასრულ ბ-ნმა ჟაკ შაბან-დელმასმა თქვა:

— ჩვენ გვგონია, რომ საბჭოთა კავშირში მოგზაურობისათვის მარჯვე დრო შევარჩიეთ, რამდენადაც აქ ჩამოვედით საფრანგეთში თქვენი მთავრობის მეთაურის გამგზავრების რამდენიმე კვირის წინ. და დღეს დარწმუნებული ვართ უფრო მეტად, ვიდრე საბჭოთა კავშირში ჩვენი ჩამოსვლის დღეს, რომ ბატონ ხრუშჩოვის მომავალი მოგზაურობა საფრანგეთში და მისი შეხვედრა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ დე გოლთან დიდმნიშვნელოვანი მომენტი იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და გამოიწვევს მტკიცე საყოველთაო მშვიდობის დამყარებას. ამას ისწრაფვის მთელი ჩვენი დელეგაცია. გამოვთქვამ რა ჩემი კოლეგების სურვილს, მინდა ერთხელ კიდევ გადავიხადო მადლობა იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც ყველა ჩვენგანს გაგვიწიეთ აქ, საქართველოში. (საქინფორმი).

იდეოლოგიური მუშაობა — ახალი ამოცანების დონეზე!

რა ვნახეთ, რას დავნერგავთ

მეგობრები ერთმანეთისაგან სწავლობენ

მოსკოვი — თბილისი

ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი დაუღალავად იბრძვის დიადი შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოთა პარტიული და პროფკავშირული მუშაობის გამოცოცხლებას, მასების დარაზმვას პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

იდეოლოგიური მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის — მოსკოვის მოწინავე საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს. ამ გამოცდილების გაცნობისა და პრაქტიკაში მისი დანერგვის მიზნით ამას წინათ მოსკოვის საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებში სტუმრად იყო ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ და პროფკავშირულ მუშაკთა დელეგაცია.

დელეგაციის წევრები ფართოდ გაეცნენ ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო, „სერპ ი მოლოტის“ და თევოსიანის სახელობის ელექტრომეტალურგიული ქარხნების პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას. ქართველმა მეტალურგებმა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მოწინავე საწარმოებში ბევრი რამ სასარგებლო და საინტერესო ნახეს, მათ გადაწყვიტეს ყოველივე ახალი და პროგრესული ფართოდ დანერგონ თავიანთ საქმიანობაში.

ამ გვერდზე მოთავსებული მასალები მოგვითხრობენ მოსკოველთა გამოცდილებაზე, ქართველ მეტალურგთა შთაბეჭდილებებსა და მათი მომავლის გეგმებზე.

მთავარია პარტიული ხელმძღვანელობა

რვა დღე დავყავით დედაქალაქის მსხვილ საწარმოებში, სადაც გულდასმით ვეცნობოდით პარტიულ-პოლიტიკური და პროფკავშირული მუშაობის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებამ.

საინტერესოა ამ საწარმოს პარტიული ჯგუფების საქმიანობა. ქარხანაში 110 პარტიული ჯგუფია. ისინი საამქროთა პარტიული ორგანიზაციების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენენ. მარტენის საამქროს იმ პარტიულ ჯგუფს, რომელსაც ვ. იუდინი ხელმძღვანელობს, იცნობენ, როგორც ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელს, ახლისათვის დაუღალავ მებრძოლს.

საკაზმე ეზოში საქმე რიგზე არ იყო, — გვითხრა ვ. იუდინმა, — ლიანდაგის უვარგისობის გამო ამწევები ხშირად ცდებოდა, მუშები ამის შესახებ ლაპარაკობდნენ საწარმოო თათბირებზე, კრებებზე. საამქროს უფროსი მათ მხოლოდ დაპირებებით კვებავდა. გადავწყვიტეთ საკითხი პარტბიუროს სხდომაზე განგვეხილა. ამან სასურველი შედეგი გამოიღო: საამქრომ მალე მიიღო სალიანდაგე მასალა, რამაც მდგომარეობიდან გამოიყვანა კოლექტივი.

ვ. იუდინმა გვიამბო კიდევ ერთი ასეთი ფაქტის შესახებ:

მეორე ცვლა ორ თვეს ვერ ასრულებდა სოციალისტურ ვალდებულებას. — რატომ ჩამორჩებით სხვა ცვლებს? — კითხულობდნენ კომუნისტები და პასუხს ვერ პოულობდნენ. მაშინ საქმეში პარტბიურო ჩაერია.

მოვაწყვეთ პარტბიუროს გაფართოებული სხდომა; მოვიწვიეთ მეფოლადეები, მსხმელები, ცვლის ხელმძღვანელი. გამოირკვა, რომ ცვლის უფროსსა და ოსტატებს შორის საერთო ენა არ იყო. ცუდი იყო შრომის ორგანიზაცია, ფერხდებოდა ღუმელების ჩატვირთვა, უგულებელყოფდნენ ახლისა და პროგრესულის დანერგვას.

პარტბიურომ საქმიანი კონკრეტული გადაწყვეტილება მიიღო. მაგრამ მარტო ამით როდი დაკმაყოფილდა. ბოლომდე შეამოწმა მათი განხორციელება. არ გასულა დიდი დრო და ცვლამ წარმატებით იწყო მუშაობა.

ქარხნის ნამდვილი პატრონები — კომუნისტები ყველა წვრილმანს სწვდებიან და ძალღონეს არ იშურებენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

პარტიული კონტროლის უფლება მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ დროულად მიუთითოს სამეურნეო ხელმძღვანელებს, არამედ იმის საშუალებაც არის, რომ საჭირო შემთხვევაში დარაზმოს მთელი კოლექტივი დიდი სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად.

ქარხანამ ვალდებულება იკისრა წუნის შემცირებით მოესპო დანაკარგები. ეს კარგი საქმეა, მაგრამ როგორც ჩანს, ზოგიერთ საამქროს ხელმძღვანელმა მალე დაივიწყა ეს მნიშვნელოვანი ვალდებულება, რის გამო წუნი არ შემცირებულა.

პარტიული ორგანიზაცია შეუდგა პროდუქციის ხარისხის საკითხის შესწავლას პარტიული კონტროლის წესით.

პარტიულ და მუშათა კრებებზე განიხილეს პროდუქციის ხარისხის საკითხი. წუნის გამოშვების ყველა შემთხვევას ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთი „მარტენოვკა“ უძღვნიდა კრიტიკულ კორესპონდენციებს, ფოტობრალდებს. ხარისხის შესახებ გადაცემას აწყობდა ქარხნის რადიოც.

ქარხნის პარტიული კრების მოწვევის მეორე დღეს ფურცელსაგლინავი საამქროს ერთ-ერთმა პარტჯგუფმა მოაწყო ცვლის კომუნისტთა კრება. — გახსოვდეთ, — უთხრა მომხსენებელმა კომუნისტებს, — რომ იმ თანხით, რაც ქარხანამ ერთ წელიწადში დაკარგა წუნის სახით, შეიძლება ავაგოთ ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

კამათში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა კომუნისტმა. დაისახა წუნის შემცირების ღონისძიებანი და დაიწყო ბრძოლა მათი განხორციელებისათვის.

ხსენებულ ცვლაში ფურცელსაგლინავ დგანზე პირველად ვ. მაცაკისა და ი. ნიკიტინის ბრიგადებს მიენიჭათ ხარისხის წარჩინებული ბრიგადის სახელწოდება. მალე ეს წოდება მიენიჭა კომუნისტ ი. კისელიოვის ცვლასაც.

ფურცელმგლინავთა ინიციატივას მხარი დაუჭირეს სხვა საწარმოო უბნებშიც. შედეგი? საგრძნობლად შემცირდა წუნი. დაიზოგა მილიონობით მანეთი.

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პარტიული ორგანიზაცია თავის მუშაობაში ფართოდ გამოიყენებს მოსკოველ თანამოსაქმეთა მდიდარ გამოცდილებას.

ჩვენ გავეცანით აგრეთვე პროპაგანდისტთა მეთოდური საბჭოს მუშაობას. უნდა ვთქვათ, რომ „სერპ ი მოლოტის“ პარტიულ ორგანიზაციას ეს საქმე კარგად აქვს დაყენებული. მათი მაგალითისამებრ დავიწყეთ ლექცია-მოხსენებების კითხვა ცვლებსა და ბრიგადებში, გავაფართოვეთ ლექცია-მოხსენებებისა და საუბრების თემატიკა.

ლიხაჩოველთა გამოცდილებისამებრ ქარხანაში შევქმენით აგიტატორთა მეთოდური დარგობრივი საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობას და დახმარებას გაუწევს აგიტკოლექტივებს, აგიტატორებს საქმიანობის გაუმჯობესებაში.

მოსკოველთა ეს გამოცდილება ჩვენ გვინდა ფართოდ დავნერგოთ. უკვე შევადგინეთ გეგმა, რომლის მიხედვით უახლოეს ხანში მოვაწყობთ თეორიულ კონფერენციას თემაზე „კომუნისტური შრომის ბრიგადები, როგორც ადამიანის აღზრდის ახალი ფორმა“. მომხსენებლებად შევარჩიეთ და დავამტკიცეთ ქარხნის დირექციისა და პარტიული კომიტეტის მუშაკები. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ქარხნის პარტიულ კომიტეტში ჩავატარეთ პარტიული ორგანიზაციების მდივნების, პროპაგანდისტების და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელზეც განვიხილეთ მოსკოველთა გამოცდილება და დავსახეთ მისი დანერგვის კონკრეტული ღონისძიებანი.

გ. მგალობლიშვილი,
ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.

ეხმარებიან წარმოებას

მოსკოვის საწარმოთა პროფკავშირული ორგანიზაციები თვალსაჩინო მუშაობას ეწევიან შრომის ვეტერანებთან, პენსიონერებთან. მარტო ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანას 3.000-ზე მეტი პენსიონერი ჰყავს. ყველა ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქარხნის სისხლსავსე ცხოვრებაში. პენსიონერთა მთელ მრავალმხრივ მუშაობას სათავეში უდგას პენსიონერთა საბჭო.

ქარხანა „ელექტრომეტალში“ შექმნილი მომღერალთა გუნდი მთლიანად შრომის ვეტერანებისაგან არის დაკომპლექტებული, პენსიონერებს მჭიდრო კავშირი აქვთ ახალგაზრდა მუშებთან, უზიარებენ მათ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას, მონაწილეობას იღებენ სკოლებისა და საბავშვო ბაღების მუშაობაში.

ნაყოფიერად მუშაობენ საზოგადოებრივი კონტროლიორები.

ჩვენს ქარხანაშიც არსებობს შრომის ვეტერანებისა და პენსიონერების საბჭო. იგი დიდ დახმარებას უწევს პროფკავშირულ ორგანიზაციას მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში. მაგრამ მათი მუშაობა უფრო საინტერესო გახდება, როცა იგი შეივსება მოწინავეთა გამოცდილებით.

მოსკოველთა მაგალითისამებრ ჩვენი ქარხნის პროფკავშირის კომიტეტი ამ თვეში იწვევს საზოგადოებრივი კონტროლიორების კონფერენციას, სადაც დავსახავთ ღონისძიებებს საზოგადოებრივი კონტროლის მუშაობისა და საზკავების საქმის გაუმჯობესებისათვის. ამავე კონფერენციაზე დავამტკიცებთ საზოგადოებრივი კონტროლიორების სამუშაო გეგმას და ქარხნის კომისიის შემადგენლობას.

სასარგებლო გამოცდილება შეგვძინა სახალხო რაზმეულების საქალაქო შტაბის მუშაობის გაცნობამ.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ახალი მიღწევები მოვიპოვოთ წარმოების აღმავლობის საქმეში.

ი. ცვიგუნი,
შრომის ვეტერანი, ქარხნის პროფკავშირული კომიტეტის წევრი.

სააგიტაციო მუშაობის ცენტრები

ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ პარტიული კომიტეტის მდივანმა ი. ნოვიკოვმა გულთბილად მიგვიღო. იგი გატაცებით გვიყვებოდა ქარხანაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების შესახებ. ბევრი საინტერესო რამ გვიამბო მუდმივმოქმედ აგიტპუნქტებზე.

— წინათ აგიტპუნქტებს მარტო საარჩევნო კამპანიების დროს ვქმნიდით, — გვითხრა მან, — დამთავრდებოდა არჩევნები და აგიტატორებიც წყვეტდნენ მუშაობას. საკითხის ღრმად შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ საჭირო იყო მუდმივმოქმედი აგიტპუნქტების შექმნა. შევარჩიეთ აგიტატორები, გამოვყავით სათანადო ოთახები და მუშაობას შევუდექით. ახლა აგიტპუნქტები პოლიტიკური მუშაობის ცენტრებს წარმოადგენენ. აქ ხშირად ეწყობა სააგიტაციო საუბრები, ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, ტელეგადაცემათა ჩვენება და სხვ.

მუდმივმოქმედ აგიტპუნქტს მჭიდრო კავშირი აქვს მეტალურგთა კულტურის სასახლესთან. აგიტატორები ხშირად აწყობენ დიასახლისთა კოლექტიურ დასწრებას კულტურის სასახლეში გამართულ საღამო-წარმოდგენებზე, კინოფილმებზე, ლექციებზე, მასობრივ ცეკვებზე და სხვ.

ორი მუდმივმოქმედი აგიტპუნქტი ჩვენცა გვაქვს რუსთავში. ერთი მუშაობს თბოელექტროცენტრალის დასახლებაში, მეორე კი — მეტალურგთა კულტურის სასახლეში. მაგრამ მათს მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. ჩვენ შევეცდებით მუდმივმოქმედი აგიტპუნქტების მუშაობა მოსკოველთა გამოცდილების მიხედვით მოვაწყოთ.

სააგიტაციო-მასობრივ მუშაობაში მოსკოველებს კიდევ ერთი სიახლე აქვთ. მათ საწარმოებში შექმნეს აგიტატორთა სამთვიანი სკოლები, სადაც აგიტატორთა წინაშე მოხსენებებით გამოდიან ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, კვალიფიციური ლექტორები.

მოსკოვის ქარხნების პოლიტიკური განათლების კაბინეტებში აგიტატორებს დიდად ეხმარება სპეციალური ალბომები, რომლებშიც თავმოყრილია დიდძალი მასალები, ციფრები, ფაქტები. ისინი ფართოდ ასახავენ რესპუბლიკის, ქარხნის, საამქროების როგორც დღევანდელ, ისე ხვალინდელ დღეს. აქვე ნაჩვენებია სასაუბრო თემები. ეს საქმე განსაკუთრებით კარგად არის მოწყობილი ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტში.

მე დავესწარი აღნიშნული ქარხნის ერთ-ერთი აგიტატორის საუბარს. მან თავისი საუბარი ააგო ცოცხალ კონკრეტულ მასალებზე და დამაჯერებლად განუმარტა მუშებს ქარხნისა და საამქროს წინაშე დასახული ამოცანები. ამასთანავე ხაზი გაუსვა შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებს და დაასახელა მუშები, რომლებიც შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინის სისტემატურად დარღვევით ხელს უშლიან ქარხნის კოლექტივს მის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში.

შ. მენთეშაშვილი,
მილსაგლინავი საამქროს პარტბიუროს წევრი.

მდიდარი გამოცდილება

მოსკოვის საწარმოებში ყველაფერს აკეთებენ პარტიული განათლების იდეური დონის ასამაღლებლად. მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი შესწავლა მიჩნეულია მთელი პროპაგანდისტული მუშაობის გადამწყვეტ რგოლად.

ყველა კომუნისტი ჩაბმულია სწავლების ამა თუ იმ ფორმაში. მეცადინეობა წრეებში, სემინარებსა და პოლიტსკოლებში თვეში ორჯერ ეწყობა. მეცადინეობისათვის ერთნაირი გეგმით ემზადებიან პროპაგანდისტები, სემინარების ხელმძღვანელები, კონსულტანტები, მსმენელები.

პოლიტიკური განათლების ორგანიზაციაში სიმძიმის ცენტრი გადატანილია პოლიტიკურ თვითგანათლებაზე, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების ძირითად მეთოდზე.

ბევრი რამ საინტერესოა მეთოდური საბჭოს მუშაობაში, რომელიც ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტთან არის შექმნილი. იგი თვალსაჩინო მეთოდურ დახმარებას უწევს პროპაგანდისტებს, სემინარების ხელმძღვანელებს, კონსულტანტებს. მეთოდური საბჭო წინასწარ, თემების მიხედვით, არჩევს ლიტერატურას და აწვდის პროპაგანდისტებს. გარდა ამისა, იგი აწყობს მოწინავე აგიტკოლექტივების, პროპაგანდისტების, ლექტორების გამოცდილების გაზიარებას.

მეთოდური საბჭოს წევრები სისტემატურად ესწრებიან წრეების, პოლიტსკოლებისა და სემინარების მეცადინეობას, ანალიზს უკეთებენ მათს მუშაობას. ზოგიერთი მეცადინეობის მიმდინარეობას განიხილავენ პროპაგანდისტთა სემინარების ხელმძღვანელებისა და პარტორგანიზაციების მდივნების თანდასწრებით. მეთოდური საბჭო აწყობს პროპაგანდისტთა ექსკურსიებს დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში. საქმე ისეა დაყენებული, რომ ყველა პროპაგანდისტი, სემინარის ხელმძღვანელი, ლექტორი გულდასმით ეცნობა მოცემული საწარმოს ეკონომიკას, მის ამოცანებს.

მეთოდური საბჭო ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტთანაც არსებობს, მაგრამ მის მუშაობას გაუმჯობესება ესაჭიროება. მოსკოველთა მაგალითისამებრ უკვე დავსახეთ ღონისძიებანი იმ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის, რომლებიც ჩვენი მეთოდური საბჭოს მუშაობაშია.

ამ ღონისძიებათა დასახვისას გავითვალისწინეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება: „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“.

ცოტა რამ პოლიტიკური მუშაობის დაყენების მდგომარეობაზე. ელექტრომეტალურგიული ქარხნის „ელექტროსტალის“ პარტიულ ორგანიზაციაში მაღალ დონეზეა დაყენებული სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. აგიტატორებად მუშაობენ ხელმძღვანელი მუშაკები, სპეციალისტები, წარმოების მოწინავე ადამიანები. ფართო გავრცელება ჰპოვა კითხვა-პასუხის საღამოებმა, წარმოების მოწინავეებთან შეხვედრებმა, კომუნისტური შრომის ბრიგადების მუშაობის გამოცდილების განზოგადებამ.

სააგიტაციო მუშაობის გაუმჯობესებას საგრძნობლად შეუწყო ხელი აგიტატორთა სკოლისა და კულტურის უნივერსიტეტის შექმნამ.

აგიტატორთა სკოლაში მსმენელები იღებენ ღრმა ცოდნას ისეთ დარგებში, როგორიც არის მიმდინარე პოლიტიკა, კონკრეტული ეკონომიკა, მეთოდიკა და სხვ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კულტურის უნივერსიტეტი ჩვენს ქარხანაშიც არსებობს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს თანამედროვეობის მოთხოვნებს. პარტკომმა უკვე დასახა ღონისძიებანი მისი საქმიანობის გამოცოცხლებისათვის.

საინტერესოა ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ კედლის გაზეთის მუშაობის ერთი დეტალი. ამ ქარხნის საყალიბე საამქროს კედლის გაზეთი ყოველდღიურად გამოდის. გაზეთს ჰყავს ექვსი სარედაქციო კოლეგია, ე. ი. იმდენი, რამდენი სამუშაო დღეც არის კვირაში. საგაზეთო მუშაობის ეს პრაქტიკა, — გვითხრა გაზეთის რედაქტორმა ფ. ზოლოტარიოვმა, — მეტად სასარგებლოა საქმისათვის. წინათ, როცა კედლის გაზეთს თვეში ერთხელ ვუშვებდით, რედაქციაში შემოსული კრიტიკული შენიშვნები ხშირად კარგავდნენ მნიშვნელობას. ეს იმიტომ, რომ გაზეთის გამოსვლამდე კორესპონდენციაში აღნიშნული ნაკლოვანებანი ასე თუ ისე სწორდებოდა.

ახლა გაზეთი ყოველდღიურია და მუშათა ყველა შენიშვნაც საქმიან ხასიათს იღებს. დისციპლინის დარღვევებისა და სხვა უმსგავსოებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ქმედითად გვეხმარებიან საამქროს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ჩვენი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა მოსკოველთა მაგალითისამებრ რამდენიმე საამქროში შექმნას ყოველდღიური კედლის გაზეთები.

ბევრი რამ საინტერესო აქვს თავის მუშაობაში საქარხნო მრავალტირაჟიან გაზეთსაც. მის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება მასალები ყოველივე ახალზე, მოწინავესა და პროგრესულზე, რაც კი ქარხანაში ინერგება. მასალები მოწინავეთა გამოცდილებაზე ხომ ყველა ნომერშია. გაზეთი აწყობს მოწინავეთა შეხვედრებს ახალგაზრდა მუშებთან, მკაცრად აკრიტიკებს ჩამორჩენილებს.

ორ დღეს დავყავი ქარხანა „სერპ ი მოლოტში“. ერთ საღამოს დავესწარი რკინიგზის საამქროს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლის მეცადინეობას. აქ პროპაგანდისტად მუშაობს ქართველი შ. მამინაშვილი, რომელიც ამავე დროს საამქროს პარტბიუროს მდივანიც არის.

მეცადინეობა ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე ჩატარდა. გამოყენებულ იქნა რუკა, დიაგრამები, პლაკატები, დამახასიათებელი იყო ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ საბინაო მშენებლობის ზრდის დიაგრამა.

ილაპარაკა რა ჩვენი ქვეყნის საბინაო მშენებლობის გრანდიოზულ ზრდაზე, პროპაგანდისტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი „სერპ ი მოლოტის“ მუშათა საბინაო მდგომარეობას.

ომამდე — განაცხადა მან, — მუშათა საცხოვრებელ ფონდს შეადგენდა მხოლოდ 120 ბარაკი და ერთი მრავალსართულიანი სახლი. უკანასკნელ 12 წელიწადში კი ავაგეთ 28 მრავალსართულიანი სახლი. 1957 წელს საექსპლოატაციოდ გადავეცით 5.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. 1958 წელს ქარხნის მუშებმა მიიღეს 21.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ე. ი. ოთხჯერ მეტი, ვიდრე წინა წელს.

შემდეგ იგი შეეხო მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს. ჩვენთან, — თქვა მან, — ამ ამოცანას ემსახურება ქარხნის სასწავლო კომბინატი, სადაც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ასობით მუშა იღებს ტექნიკოსისა და ინჟინრის დიპლომს. ამჟამად ძნელად მოიძებნება ახალგაზრდა, რომელიც არ იმაღლებდეს კვალიფიკაციას ამა თუ იმ სასწავლებელში.

პოლიტსკოლის მეცადინეობამ ხალისიანად, მსმენელთა აქტიური მონაწილეობით ჩაიარა. პროპაგანდისტმა შესასწავლი მასალა მოხერხებულად დაუკავშირა ქარხნის ცხოვრებას.

მოსკოვის მოწინავე საწარმოებიდან მდიდარი გამოცდილებით დავბრუნდით. ჩვენ ამ გამოცდილებას უკლებლივ გამოვიყენებთ, კიდევ უფრო მაღალ დონეზე მოვაწყობთ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, გამოვაცოცხლებთ და შინაარსიანს გავხდით ჩვენს გაზეთს.

გ. გოგიჩაიშვილი,
გაზეთ „მეტალურგის“ რედაქტორი.

სურათებზე: (ზემოდან—მარცხნივ) გ. მგალობლიშვილი, ი. ცვიგუნი, შ. მენთეშაშვილი; ქვემოთ — მ. ხუხუნაიშვილი, გ. გოგიჩაიშვილი.

ფაქტები მეტყველებენ

◆ **ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ საამქროთა პარტიული ორგანიზაციების დასაყრდენს წარმოადგენენ პარტიული ჯგუფები, რომელთა რიცხვი საწარმოში 110-ს აღწევს.**

◆ **ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ ტექნიკური კულტურის უნივერსიტეტში ჩაბმულია 800-ზე მეტი კაცი, ხოლო კულტურის სასახლის თვითმოქმედი წრეები აერთიანებს 3.000-ზე მეტ ადამიანს. ქარხნის ლექტორიუმი რამდენიმე ათეული ლექტორის საშუალებით სისტემატურად ეწევა ტექნიკურ პროპაგანდას.**

◆ **ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანას ჰყავს 3.000-ზე მეტი პენსიონერი, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამ საწარმოს ყოველდღიურ ცხოვრებაში.**

თვალსაჩინოება დიდი ძალაა

მოსკოვში ყოფნის დროს გავეცანი მოწინავე საწარმოთა პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას. ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის კარგად მოწყობამ. ყველა ქარხნის საამქროებსა და უბნებში საქმე ისეა დაყენებული, რომ თვითეული მუშა სპეციალურად მოწყობილ დაფებზე ეცნობა მოწინავეთა მიერ ყოველდღიურად მოპოვებულ წარმატებებს. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ცვლების, ბრიგადების, საამქროების შესახებ იწერება „ელვის“ ფურცლებსა და კედლის გაზეთებში.

ქარხანა „სერპ ი მოლოტში“ მოწოდების სიმაღლეზეა დაყენებული მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა. საამქროებში შესვლისთანავე ნათელი ხდება, თუ რომელ უბანზე მუშაობენ კომუნისტური შრომის ბრიგადები და დამკვრელები. დაზგებთან, სადაც კი წარმოების მოწინავენი მოღვაწეობენ, თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული წარწერები: „აქ მუშაობს მვალცავ ი. დიუკევის კომუნისტური შრომის ბრიგადა“, „შრომის ვახტზეა სოციალისტური შრომის გმირი მვალცავი ვ. ზოლოტოვი“ და სხვ. აქვე თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული მათი საწარმოო მაჩვენებლები და სოციალისტური ვალდებულებანი. ეს მეთოდი მაღალნაყოფიერი შრომის სტიმულს იძლევა.

ქარხნები სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებას წლის დაწყების წინ კისრულობენ. ეს ქარხნის კოლექტივს თავიდანვე რაზმავს გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგების შეჯამება ხდება მომდევნო თვის 10 რიცხვამდე. ასევე დროულად ჯამდება შეჯიბრების კვარტალური შედეგები და გამარჯვებულ კოლექტივებსაც დაუგვიანებლივ ეძლევათ ჯილდოები.

აღსანიშნავია ისიც, რომ პრემიებს იღებენ მხოლოდ და მხოლოდ ის კოლექტივები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი.

ჩვენს მუშაობაში დავნერგავთ მოსკოველთა ყოველ საგულისხმო გამოცდილებას, ამიერიდან უკეთესად ვუხელმძღვანელებთ სოციალისტურ შეჯიბრებას.

ვ. დარცმელია,
აგლოსაბრძმედე საამქროს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

ჩემი შთაბეჭდილებანი

ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ პარტიულ ორგანიზაციას კარგად აქვს დაყენებული ლექციური პროპაგანდა. ლექცია-მოხსენებებს სისტემატურად კითხულობენ ცვლებსა და ბრიგადებში.

ქარხანაში კარგად ეწევიან აგრეთვე ტექნიკურ პროპაგანდას. ამ საქმეს სათავეში უდგას ლექტორიუმი, რომელშიც 60 კაცია გაერთიანებული. სამუშაო გეგმაში შეტანილია წარმოების კომპლექსური ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საკითხები, ტექნიკის უახლესი მიღწევები. ტექნიკური პროპაგანდის მაღალი დონე ახალგაზრდა კადრებს ეხმარება იდეური ცოდნის ამაღლებასა და დაოსტატებაში, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის გაფართოებაში.

ტექნიკური პროპაგანდის საქმეში დიდ მუშაობას ეწევა მეტალურგთა კულტურის სასახლე. საკმარისია ითქვას, რომ ტექნიკური კულტურის უნივერსიტეტში ჩაბმულია 800-ზე მეტი კაცი. ლექციებს კითხულობენ მოსკოვის ინსტიტუტების და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკები, წარმოების ნოვატორები, ინჟინერ-ტექნიკოსები და სხვ.

თითქმის ყველა ლექციას თან ახლავს შესაფერი კინოფილმების დემონსტრირება, რაც აღრმავებს ლექციაზე მიღებულ ცოდნას, აძლიერებს შთაბეჭდილებას.

მოსკოვის ქარხნების პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ ბავშვთა აღზრდას. ეს საქმე სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მეტალურგთა კულტურის სასახლეში. საბავშვო სექტორთან ნაყოფიერად მუშაობენ სიმღერისა და ცეკვის, მუსიკის, სპორტული, ძერწვისა და სხვა წრეები. ეს განსაკუთრებით ითქმის ნორჩ მოგზაურთა წრეზე, რომელიც ხშირად მართავს კონცერტებს არა მარტო მოსკოვის, არამედ ლენინგრადის საწარმოებშიც.

დიდი პოპულარობით სარგებლობს ბავშვთა საბალეტო წრე. მის აღზრდილთაგან მეტალურგთა კულტურის სასახლეში შექმნილია ოპერისა და ბალეტის თვითმოქმედი თეატრი. აღსანიშნავია, რომ ამ სახის თეატრი მხოლოდ მოსკოვსა და ლენინგრადში არსებობს. თვითმოქმედ თეატრში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქარხნის მუშები. 3.000-ზე მეტი კაცია გაერთიანებული სასახლის თვითმოქმედ წრეებში.

მეტალურგთა კულტურის სასახლე ჩვენც გვაქვს, მაგრამ მას მასობრიობა აკლია.

მოსკოვის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებას უკვე ვნერგავთ ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაში.

მერი ხუხუნაიშვილი,
ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის ინჟინერ-ლაბორანტი.

ბევრი ახალი და საინტერესო რამ ნახა მოსკოვის ქარხნებში ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის აგლოსაბრძმედე საამქროს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. დარცმელიამ. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქიდან დაბრუნების შემდეგ მას ხშირად ნახავთ მუშებთან, რომლებსაც იგი უზიარებს მოსკოვში მიღებულ შთაბეჭდილებებს.

სურათზე: ვ. დარცმელია (მარჯვნიდან მესამე) მუშებს შორის

ფოტო დ. ცხოვრებაძისა.

პატრიოტული თაოსნობა

საქართველოს სსრ ყველა მეცნიერსა და კულტურის მოღვაწეს

საბჭოთა ინტელიგენციის მასობრივი ორგანიზაცია — პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც 1947 წელს შეიქმნა ჩვენი ქვეყნის წამყვან მეცნიერთა, საზოგადო, პოლიტიკურ მოღვაწეთა და ხელოვნების მუშაკთა ინიციატივით, გახდა პარტიის დიდი ძალა, მისი მნიშვნელოვანი დასაყრდენი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. საზოგადოების საპატიო და კეთილშობილურ მოღვაწეობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად, როცა სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი შეუდგა კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობას.

საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები, რომლებსაც ნათლად აქვთ წარმოდგენილი, რომ კომუნიზმში გადასვლისათვის საჭიროა არა მარტო მატერიალური წარმოების მაღალი დონე, არამედ აგრეთვე ადამიანის ყოველმხრივი სულიერი აღზრდა, სისტემატურად უკითხავენ ლექციებს მშრომელთა ფართო აუდიტორიას.

მაგრამ მეცნიერთა, საზოგადო, პოლიტიკურ მოღვაწეთა, უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა და კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ნაწილი ჯერ კიდევ არ იღებს მონაწილეობას ლექციურ მუშაობაში.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ინტელიგენციას — პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები გახდნენ, რათა ლექციურ პროპაგანდაში აქტიური მონაწილეობით ხელი შეუწყონ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

მუშებისათვის, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეებისათვის ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვა თვითეული მეცნიერისა და კულტურის მოღვაწის კეთილშობილური და საპატიო მოვალეობაა. შეგნებული გვაქვს რა ეს, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია შევიტანოთ ცოდნა მასებში, უარი ვთქვათ ლექციების ანაზღაურებაზე. ჩვენ მოვუწოდებთ რესპუბლიკის ყველა მეცნიერს, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას, ინჟინრებს, ექიმებს, კულტურის მოღვაწეებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს. თვითეულ ჩვენგანს საზოგადოების დავალებით შეუძლია წაიკითხოს და კიდევაც უნდა წაიკითხოს მასობრივ აუდიტორიებში სულ ცოტა 12-15 ლექცია წელიწადში.

გამოვთქვამთ რა მტკიცე რწმენას, რომ ჩვენს ინიციატივას მხარს დაუჭერს რესპუბლიკის ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი რაზმი, ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ ჩვენი მუშაობით ცოდნის გავრცელების დარგში გავამართლოთ ის მაღალი შეფასება, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა საზოგადოებას, როგორც პარტიის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ი. ვ. აბაშიძე — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პირველი მდივანი; **ა. მ. ბალანჩივაძე** — საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი; **ი. მ. ბუაჩიძე** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი; **ა. თ. გოთორიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; **უ. მ. ჯაფარიძე** — საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო მხატვარი; **ს. ვ. დოლიძე** — საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი; **ა. ბ. ქურდიანი** — საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე, სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი; **ნ. ი. მუსხელიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; **მ. ნ. საბაშვილი** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; **ი. ფ. სარიშვილი** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **ე. კ. ხარაძე** — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **კ. დ. ერისთავი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ერთი რაიონის წარსული და აწმყო

თეთრი წყაროს რაიონი საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაზარალებული რაიონია წარსულში უცხოელ დამპყრობთა და მომთაბარე ურდოების შემოსევებისაგან. ეს იყო საქართველოს განაპირა მხარე, რომელიც ჩვეულებრივ პირველი ხვდებოდა მტარვალთა შემოსევებს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და თავისი მოსახლეობის სისხლით, თავისი მიწაწყლის აოხრება-გადაბუგვის საფასურით იცავდა ქვეყნის შიდა რაიონებს განადგურებისაგან. ბუნებრივია, რომ მოსახლეობა თანდათან მკვეთრად იკლებდა აქ და მალე ეს ნაყოფიერი, ბუნებრივი პირობებით მდიდარი მხარე თითქმის სულ გაუკაცრიელდა. XIX საუკუნიდან მოყოლებული, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა, ჩვენს ქვეყანაში თანდათანობით მშვიდობიანობა დამყარდა, აღმავლობის გზას დაადგა თეთრი წყაროს რაიონიც.

ამასწინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა წიგნი „თეთრი წყარო (მისი ახლო წარსული და აწმყო)“, რომლის ავტორია ვარლამ გონგაძე. წიგნი იძლევა თეთრი წყაროს რაიონის ხელახალი დასახლების ისტორიას მთელი XIX საუკუნის მანძილზე, აშუქებს მისი სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლებასა და იქ თანამედროვე, ახალი ყოფის დამკვიდრებას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ.

წიგნი შედგება მოკლე შესავლისა და სამი თავისაგან. პირველი თავი ორ ქვეთავად არის დაყოფილი. პირველ ქვეთავში საუბარია თეთრი წყაროს რაიონის მდებარეობასა და ბუნებრივ პირობებზე, მოცემულია ამ ტერიტორიაზე არსებული უძველესი მატერიალური ძეგლების მოკლე დახასიათება. აღნიშნულია, რომ თეთრი წყაროს რაიონის ტერიტორია წარსულში ეკონომიურად ღაწინაურებული და მჭიდროდ დასახლებული ყოფილა, რასაც თვალნათლივ მიუთითებს მრავალი ნასოფლარი ადგილი და ამ რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მრავალი უძველესი სამეურნეო ნაგებობა. მეორე ქვეთავი მოგვითხრობს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა დასახლების ისტორიას თეთრი წყაროს რაიონის ტერიტორიაზე XIX საუკუნის მანძილზე. მოყვანილია საინტერესო ცნობები სომხების, გერმანელების, ბერძნების, ოსების დასახლების შესახებ თეთრი წყაროს რაიონში.

დოკუმენტური წყაროების გამოყენებასთან ერთად ნაშრომში მარჯვედ არის გამოყენებული ის ცნობებიც, რომლებიც ავტორს ადგილზე შეუკრებია დღემდე შემონახული გადმოცემების სახით.

ნაშრომში ცალკე თავია მიძღვნილი თეთრი წყაროს ცენტრის — დაბა თეთრი წყაროსადმი და დაწვრილებით არის განხილული მისი ისტორია მთელი XIX საუკუნის მანძილზე. ცალკე ქვეთავებად არის გამოყოფილი რუსების დასახლების ისტორია თეთრ წყაროში და მათი საქმიანობა ძველად, იშლება საინტერესო სურათი ამ პუნქტის სამეურნეო ცხოვრებისა წარსულ საუკუნეში.

ნაშრომის უკანასკნელი, მესამე თავი მოგვითხრობს თეთრი წყაროს რაიონის მოსახლეობის ახალი ყოფაცხოვრების შესახებ, ფართოდ გვისურათებს იმ დიდ წარმატებებს, რომლებიც მოიპოვა მოსახლეობამ ეკონომიური და კულტურული აღორძინების საქმეში.

ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული არაერთი დღემდე უცნობი მასალა, რაც საინტერესო შუქს ფენს ამ რაიონის ახლო წარსულს. ყურადღების ღირსია, რომ ავტორის მიერ მიკვლეული მასალის საფუძველზე დადგენილია თეთრი წყაროს ძველი ისტორიული სახელწოდება. დადგენილია, რომ ის დასახლებული ადგილი, რომელიც XIX საუკუნიდან თეთრი წყაროს სახელით არის ცნობილი, გაშენებული ყოფილა საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი პუნქტის გარისის ნანგრევებზე.

სასურველი იქნება თუ ავტორი ამ მიმართულებით გააფართოებს კვლევას საუკუნეთა სიღრმეში. საქართველოს ამ კუთხის უფრო ძველი ისტორია უთუოდ ბევრ რამეს მეტად საინტერესოსა და დამახასიათებელს გამოავლენს საერთოდ საქართველოს ისტორიისათვის.

გამოცემის ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ მას არ ერთვის რაიონის რუკა. განსაკუთრებით საჭირო იქნებოდა 1846 წ. შედგენილი რუკის გამოყენება, რომელიც, როგორც ეს აღნიშნულია ნაშრომში, 1955 წელს არის მოპოვებული თვით ავტორის მიერ და მრავალ ახალ საინტერესო ცნობას შეიცავს საქართველოს ამ კუთხის წარსულის დასადგენად.

სამწუხაროდ, წიგნი თავისუფალი არ არის კორექტურული შეცდომებისაგან, განსაკუთრებით უცხო წარმოშობის საკუთარ სახელთა გადმოცემისას.

ნაშრომი საინტერესოდ იკითხება და უდავოდ ყურადღების ღირსია. იგი კარგი შენაძენია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრებით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის. ვფიქრობთ, სასარგებლო საქმე იქნებოდა, თუ ამგვარი ხასიათის ნარკვევები საქართველოს სხვა კუთხეთა შესახებაც დაიწერებოდა.

ზ. ანჩაბაძე.
გ. აკოფაშვილი.
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები.

---

* ვ. გონგაძე, „თეთრი წყარო (მისი ახლო წარსული და აწმყო)“. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1959 წ.

სცენის მომავალი ოსტატები

ეს ახალგაზრდები თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები არიან... ისინი გულმოდგინედ ეუფლებიან სასცენო ხელოვნებას, რომ ამაყად წარსდგნენ მაყურებლის წინაშე და განაგრძონ ქართული რეალისტური თეატრის შესანიშნავი ტრადიციები.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გუშინდელი ფოსტიდან

◆ ცხაკაიას კირის ქარხნის კოლექტივი ენერგიულად შრომობს შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის. ქარხნის მშრომელებმა მტკიცედ გადაწყვიტეს წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1.500 ტონა კირი, 500 კუბმეტრი საშენი ქვა, 300 კუბმეტრი საკედლე ბლოკი, 100 ათასი ცალი სილა-ცემენტის კრამიტი და ა. შ., ამასთან შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანონ 40 ათასი მანეთი.

ა. ქარჩავა.

◆ ზესტაფონშენის სამშენებლო უბნების მშრომელებმა გასულ წელს მრავალი საცხოვრებელი სახლი, სამრეწველო ობიექტი გადასცეს საექსპლოატაციოდ. ახლა ისინი წარმატებით აშენებენ ახალ საცხოვრებელ სახლებს, ადმინისტრაციულ შენობას, კირის ქარხანას. საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ენერგიულად შრომობენ იმ კომპლექსური ბრიგადის წევრები, რომელსაც გ. პაპიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადა ყოველდღიურ დავალებას 170-180 პროცენტით ასრულებს.

ლ. ფერაძე.

◆ აბაშის რაიონის სოფელ ძველი აბაშის კულტურის სახლში სისტემატურად იმართება საღამოები, საუბრები, კინოსეანსები, ნაყოფიერად მუშაობენ ჭადრაკის, შაშის წრეები. აქ ხშირად ეწყობა შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან. ამას წინათ აქ კოლმეურნეები და სოფლის ინტელიგენტები შეხვდნენ ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ოსტატს, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ლ. პერტენავას.

ი. თოფურია.

◆ ქარხანა „ფოთიელექტროაპარატის“ საამქროს ოსტატი ი. ჯიბლაძე ერთ-ერთი მოწინავეა საწარმოში. იგი სულ რაღაც ორი წელია აქ მუშაობს, მაგრამ ენერგიული შრომით დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მისი საამქრო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს. მუშაობასთან ერთად ი. ჯიბლაძე წარმატებით სწავლობს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

რ. ჩხარტიშვილი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

„კომუნისტის“ რედაქციაში შემოსული იყო წერილი, რომელშიც მხილებული იყო გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის უხეირო მუშაობის ფაქტები. წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა პარტიის გურჯაანის რაიკომს, რომელიც რედაქციას აცნობებს:

წერილში აღნიშნული ფაქტების შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. შუშტაკაშვილი კოლმეურნეებს უხეშად ეპყრობოდა, არ იჩენდა მათდამი გულისხმიერებას, კოლმეურნეებს მასობრივად აჯარიმებდა შრომადღეების ჩამოჭრით, ზოგიერთ პირებს დაუსაბუთებლად აწერდა ვალად მასალებსა და პროდუქტებს.

შემოწმების შედეგები ამას წინათ განიხილა პარტიის რაიკომის ბიურომ. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. შუშტაკაშვილს მიეცა მკაცრი გაფრთხილება — სწრაფად გამოასწოროს ნაკლოვანებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაედება უფრო მკაცრი პარტიული სასჯელი. რაიკომის ბიურომ კოლმეურნეობის გამგეობას დაუსახა კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

სადღეგრძელო საქართველოში

◆

ნ. კაზინსი

◆

მერი, რომელიც თურმე გააღვიძეს, უაღრესად გულთბილად შეგვხვდა. იგი გაგვიძღვა ვიწრო ბილიკით, რომელიც გზისაკენ მიდიოდა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მივადექით მის ორსართულიან სახლს. გარეთა ხის კიბე საცხოვრებელ ოთახებში ადიოდა, სადაც შეგვხვდა მერის ცოლი. მან თავაზიანად დაგვარწმუნა, რომ ბედნიერია შესაძლებლობით ღამე გაათევინოს სტუმრებს. მე ვიკითხე ოჯახის სხვა წევრების შესახებ და შევიტყე, რომ მათ ორი შვილი ჰყოლიათ — ათი წლის გოგონა და ექვსი წლის ბიჭი.

არქიტექტურისა და შესრულების მხრივ სახლი უბრალო იყო. ძირითადი საცხოვრებელი სათავსები მეორე სართულზე იყო და შედგებოდა ოთახისაგან, სასტუმროსა და ორი საწოლი ოთახისაგან. სამზარეულო, საკუჭნაო პირველ სართულზე იყო. მერი ჰგავდა გმირს ახალი ინგლისის შტატის პირველი წლების შესახებ დაწერილი რომანიდან: მშვიდი, თითქმის მორცხვი, მაგრამ მის საშუალო სიდიდის სხეულში იგრძნობოდა ძალა, რომელიც სიმტკიცით გრანიტს არ უთმობს. ცხადი იყო, რომ იგი შემთხვევით როდი აურჩევიათ. მისი ცოლი ჩრდილში რჩებოდა, ჩვეულებრივ ეუბნებოდა ქმარს იმას, რის გადაცემაც დანარჩენებისათვის უნდოდა. მან სწორად ივარაუდა, რომ ჩვენ უსადილო ვიყავით, და თუმცა თერთმეტ საათს გადაცილებული იყო, იგი საჭმლის მზადებას შეუდგა.

ვახშმის მოლოდინში ქართველი მასწავლებელი და მე ჭადრაკს ჩავუჯექით, მაგრამ თამაში შევწყვიტეთ, რადგან სუფრაზე მიგვიწვიეს. მერის ცოლი ჩვენთან არ დამჯდარა სუფრაზე, მაგრამ მერი დაჯდა და, ჩვეულების თანახმად, ჩვენთან ერთად სჭამდა ყველაფერს. ჩვენი შოფრიანად ხუთნი ვიყავით. ვახშამი ნადიმი იყო, რომლის ძირითად კერძს შემწვარი წიწილები შეადგენდა. მაგრამ ვახშმის განმასხვავებელი ნიშანი სადღეგრძელოები იყო. ქართული ჩვეულების მიხედვით მეგობრებთან ერთად პურის ჭამა საბაბია კარგი განწყობილებისა და ამხანაგობისათვის, რომლის სიმბოლოს სადღეგრძელო წარმოადგენს. ჩვეულების თანახმად მერმა წარმოთქვა პირველი სადღეგრძელო ყველა იქ მყოფის მშობლებისა, ახსენა მთელი ის მსხვერპლი, რაც მათ გაუღიათ ცხოვრებაში ჩვენთვის, მათი კეთილშობილება, გონიერება და ღირსება. იგორმა წამჩურჩულა, ეს მნიშვნელოვანი სადღეგრძელოა და ჭიქა უთუოდ უნდა დაიცალოსო. რამდენიმე წუთის შემდეგ, ტრადიციის თანახმად, მერმა წარმოთქვა სადღეგრძელო თავისი ცოლისა, რომელიც მეორე ოთახის ფარდის იქიდან გვიცქერდა. მერმა თქვა, იგი შესანიშნავი ქალიაო, და წინადადება მოგვცა დაგველია და გვესურვებინა მისთვის ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე.

ღვინო ჩინებული იყო, მაგრამ მე მოულოდნელად შემაშფოთა ჩემმა შესაძლებლობამ. და ეს ზედმეტი როდი იყო, რადგან ვახშმის დამთავრებამდე ოცდათერთმეტი სადღეგრძელო წარმოითქვა. დაილია ყველა დამსწრის სადღეგრძელო (პირად სადღეგრძელოებს მაგიდასთან სვამენ ფეხზე მდგომი და ჭიქის დაცლამდე. სუფრაზე არმყოფებისა და ორგანიზაციების სადღეგრძელოს მჯდომარენი სვამენ და შეუძლიათ ნელ-ნელა შესვან ღვინო ჭიქიდან). იგულისხმება, რომ თვითეული შეიტანს თავის წვლილს სადღეგრძელოების წარმოთქმის საქმეში. იმ ღამეს თხუთმეტი პირადი სადღეგრძელო მაინც დაილია. (სადღეგრძელო შეიძლება გამეორდეს, თუ მას სხვადასხვა პირები წარმოთქვამენ).

ორი საუკეთესო სადღეგრძელო წარმოთქვა მერმა. ერთი იმ ადამიანებისა, რომლებიც მიწას ამუშავებენ, ესმით და უყვართ ბუნება და ყველას გვამარაგებენ საზრდოთი. მან აგრეთვე წარმოთქვა სადღეგრძელო მშვიდობის, ორივე ქვეყნის ლიდერების სიბრძნისა და კეთილი ნებისა, რათა მშვიდობა შესაძლებელი გახდეს. მე ვუპასუხე მსგავსივე სადღეგრძელოთი და გამოვთქვი სურვილი, რომ ხალხები ესწრაფოდნენ სრული მონაწილეობა მიიღონ მშვიდობისა და ისეთი სამართლიანობის შექმნაში, რომელიც მშვიდობას სრულფასოვანს გახდის.

მერმა ხელი გამომიწოდა.

მე მაგრად ჩამოვართვი ხელი. ყველა ბედნიერი შეიქმნა, რადგან ომისა და მშვიდობის პრობლემები გადაიჭრა. ვიფიქრე, მშვიდობისათვის ცოტა კარგი ქართული ღვინო არის-მეთქი საჭირო.

ვახშამი გრძელი გამოგვივიდა, რადგან იგი გაახანგრძლივა არა სადღეგრძელოებმა, არამედ დამატებითი თარგმანის საჭიროებამ. ქართველები ლაპარაკობდნენ თავიანთ ენაზე და ცუდად რუსულად. იგორმა იცოდა ინგლისური და რუსული, მაგრამ ქართული არ ესმოდა. მასწავლებელმა ქართული და რუსული იცოდა, მაგრამ არ იცოდა ინგლისური. მე არ ვიცი არც რუსული, არც ქართული, მერმა კი არ იცოდა არც ინგლისური, არც რუსული. მერის ნათქვამი მე რომ გამეგო, მას კი ჩემი ნათქვამი, საჭირო იყო სადღეგრძელოების წარმოთქმა სამ ენაზე. ამან ალბათ საინტერესო ვარიაციები გამოიწვია, აგრეთვე ძალიან ბევრი დრო წაგვართვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დავიწყეთ სხვადასხვა კულტურებიდან აღებული მსგავსი ანეგდოტების გაცნობა ურთიერთისათვის.

დილის სამ საათზე, კარგი ჭამა-სმის შემდეგ, კარგი სადღეგრძელოებისა და კარგი თარგმანის შემდეგ ნელ-ნელა წამოვიშალეთ სუფრიდან. იგორი და მე მთავარ საწოლ ოთახში შეგვიყვანეს. როცა მე პროტესტი განვაცხადე იმის გამო, რომ მერმა და მისმა ცოლმა თავიანთი საწოლები დაგვითმეს, იგორმა დამამშვიდა, მითხრა, არ შეიძლება ქართული სტუმართმოყვარეობის გამოვლინება სადავო საგნად გავხადოთო. მე დავმორჩილდი.

* * *

რამდენიმე საათის შემდეგ ფერმის ჰაერი აივსო ყივილით — ათასობით ქათამი პირდაპირ ფანჯრებქვეშ იყო ან ყოველ შემთხვევაში ასე ეჩვენებოდა ხანმოკლე ძილის შემდეგ გაღვიძებულ ადამიანს. მე მესმოდა, მერი რომ მკაცრი ჩურჩულით ეუბნებოდა თავის პატარა ვაჟს, არ იხმაურო. თუ მან ქათმებსაც უთხრა რამე, მათ, ჩანს, მისი ნათქვამი უყურადღებოდ დატოვეს.

სოფლის დაუწერელი კანონები მთელ მსოფლიოში ერთნაირია და ერთი მათგანი ის არის, რომ დროზე უნდა ადგე. ჩვენ ასეც მოვიქეცით, თუმცა შევამჩნიეთ, რომ გუშინდელი სმის მარათონის ვეტერანებს ჯერ კიდევ ვერ მოეთქვათ სული.

მოკლე მსჯელობის შემდეგ გადავწყვიტეთ იქვე დავრჩენილიყავით, სადაც ვიყავით — ამ კოლმეურნეობაში. და აღარ წავსულიყავით საბჭოთა მეურნეობაში. ამ გადაწყვეტილებამ მასიამოვნა, ვინაიდან შესაძლებლობა მეძლეოდა დაუგეგმავი დაკვირვება მომეხდინა. უფრო მეტიც, ძალიან მინდოდა მენახა, როგორ მუშაობს რიგითი კოლმეურნეობა.

განსხვავება კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას შორის ის არის, რომ კოლმეურნეობას მართავენ თვითონ გლეხები, რომლებსაც გადაწყვეტილებები გამოაქვთ, რისკს ეწევიან და შემოსავალს იღებენ, მაშინ როცა საბჭოთა მეურნეობა სახელმწიფოს ეკუთვნის. იგი მუშაკებს ქირაობს და ჯამაგირს აძლევს. საბჭოთა მეურნეობები მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე მეურნეობას წარმოადგენენ მოწყობილობისა და მეთოდების თვალსაზრისით.

კოლმეურნეობები ჩვეულებრივ თანამედროვე არიან და ნაყოფიერებას აღწევენ იმდენად, რამდენადაც ამის გაკეთება სურთ ან შეუძლიათ თვით კოლმეურნეებს. ვინაიდან კოლმეურნეობები გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე საბჭოთა მეურნეობები, და კოლმეურნეობები გაცილებით უფრო დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკაში. მე ვგრძნობდი, რომ ჩვენი გეგმების შეცვლა არახელსაყრელი როდი იქნებოდა.

მერმა მოაწყო შეხვედრა კოლმეურნეობის გამგეობის წევრებთან, მათ შორის თავმჯდომარესთან, თავმჯდომარის მოადგილესთან, ბუღალტერთან და აგრონომთან. შეხვედრა გადაიქცა თავისებურ ინტერვიუდ, სადაც მე კითხვებს ვაძლევდი და პასუხს ვიღებდი.

მე შევიტყე, რომ კოლმეურნეობას „შრომა“ ეწოდება. იგი 1926 წელს შექმნილა. ორმოცდაათმა გლეხმა — ყველა ღარიბმა — შექმნა კოლმეურნეობა ხელშემწყობი სახელმწიფო კანონების დახმარებით. მათი განაცხადი მოიწონეს და 2.600 ჰექტარი მიწა გამოუყვეს. სახელმწიფომ მიწის მფლობელობა შეინარჩუნა, მაგრამ გლეხებმა მიწის დამუშავების შეუზღუდავი უფლებები მიიღეს. საბჭოთა კავშირში მიწის ყიდვა ან გაყიდვა არ შეიძლება; მას გლეხებისათვის გამოჰყოფენ. ამ კოლმეურნეობაში მომუშავე გლეხთა ოჯახების რაოდენობა თავდაპირველი ორმოცდაათიდან 650-მდე გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლანდელი მოსახლეობა 3.000-მდე კაცს შეადგენს. როგორ მუშაობს სინამდვილეში კოლმეურნეობა? ტიპიური კოლმეურნის ივანე ცხილაურის მაგალითით ზოგიერთი რამ შევიტყე იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს კოლმეურნეობა.

ივანე ცხილაური 36 წლისაა. მის ოჯახს შეადგენენ ცოლი, სიდედრი, შვიდი წლის ბიჭი და ოთხი წლის გოგონა. ივანე ფერმაში გაიზარდა, მეტი წილი თავისი მეცნიერული ცოდნა თბილისის უნივერსიტეტში დაუსწრებლად სწავლით მიიღო. ივანეს გაყიდვისა და განაწილების პრობლემები არ შეუსწავლია: ეს როდი სჭირდებოდა. მას კომერსანტობა ან სავაჭრო მოლაპარაკების წარმოება არ უხდება. მან კარგად უნდა მოიყვანოს ყურძენი — ეს არის და ეს. მას არ უხდება თავი შეიწუხოს მომარაგებისა და მოთხოვნილების კანონებზე, კლებად და მზარდ ფასებზე. მთავრობა წინასწარ უზრუნველყოფს მთელი იმ ყურძნის შესყიდვას, რასაც იგი მოიყვანს. მას ამ ყურძნის სახელმწიფო პუნქტებზე მიტანაც არ უხდება. სახელმწიფო თვითონ უზრუნველყოფს გადაზიდვას.

ივანე და მისი ოჯახი პატარა ოთხოთახიან სახლში ცხოვრობენ. სახლში არ არის თანამედროვე მოხერხებული მოწყობილობა, როგორიც არის ვატერკლოზეტი, შხაპი, ორთქლით გათბობა, არ არის ფუფუნების ისეთი საგნები, როგორიც არის ჭურჭლის ელექტროსარეცხი, სარეცხი მანქანა, საშრობი ან ტელევიზორი და კარგი ელექტროპატეფონი. მას თავისი მანქანა არა აქვს. მაგრამ ეს იმიტომ კი არ არის, რომ ივანეს არ შეეძლოს ყველა ამ ნივთის ყიდვა. მას შეუძლია იყიდოს ისინი, და ძალუძს მნიშვნელოვანი თანხები დახარჯოს.

ორი ან სამი წლის შემდეგ ალბათ შეძლებს იყიდოს ისინი. უკვე ახლა საბჭოთა მრეწველობა უშვებს ჩარხებსა და მანქანებს, რომლებიც სამომხმარებლო საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობით გამომშვებ ახალ ფაბრიკაში დაიდგმება.

ჯერ კი ივანე თავის ფულს შემნახველ სალაროში ინახავს, სადაც 3 პროცენტ მოგებას იღებს. იგი აგრეთვე მონაწილეობს პერიოდულ ლატარიებში, რომლებშიც გათამაშდება ხოლმე ათასობით მოგება, სადაც შეიძლება გხვდეს მოგება დაწყებული 100 ათასი მანეთით ნაღდ ფულად და სახლით და დამთავრებული ველოსიპედით თუ ქოლგით.

ივანეს დიდი ხარჯები არა აქვს. იგი ყიდულობს ტანისამოსს ოჯახისათვის, ავეჯს სახლისათვის, გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს და ა. შ. ოჯახი დადის კინოში ან გამსვლელი დასის თუ ორკესტრის წარმოდგენებზე, რისთვისაც ივანე ბილეთში იხდის დაახლოებით 2 მანეთს. ივანეს საკუთარი სახლი აქვს, რომელიც მან შეიძინა 10.000 მანეთი სახელმწიფო-საკოლმეურნეო სესხის მეოხებით, მომა-
ვალ წელს იგი დაიწყებ
ვალის ნაწილ-ნაწილ და-
ფარვას ათი წლის განმავ-
ლობაში. ეს ნიშნავს წელი-
წადში 1.000 მანეთის, ანუ 100 დოლარი
გადახდას.

თავის მიწის ნაკვეთზე, რომელიც გა
ნცალკევებულია იმ ნაკვეთისაგან, სადა
იგი მუშაობს როგორც კოლმეურნეობი
წევრი, მას მოჰყავს ბევრი რამ, რაც საჭ
მელად სჭირდება. მას ჰყავს აგრეთვ
თავისი ძროხა, რომელშიც 1.700 მანეთ
გადაიხადა, ცხენი, რომელშიც 1.000 მა
ნეთი გადაიხადა, როცა ის ჯერ კიდე
კვიცი იყო. ღორი, შვიდი ცხვარი და და
ახლოებით 64 ქათამი. საკუთრების ე
სახეობები შეზღუდულია. ცალკეუ
გლეხს არ შეიძლება ჰყავდეს ერთ ძრო
ხაზე, ერთ ცხენზე, ერთ ღორზე, ა
ცხვარზე მეტი. ფრინველი ლიმიტირე
ბული არ არის.

იგი არ ეწევა სამედიცინო ხარჯებ
მკურნალობისა და საავადმყოფოში ყ
ფნისათვის. არ იხდის პირდაპირ გადას
ხადს შემოსავლიდან. — არც საერთო
სახელმწიფოებრივს, არც რესპუბლ
კურს, არც ადგილობრივს. კოლმეურნ
ობაში არ ახდევინებენ საწევრო ანარ
ცხებს ან ანარიცხებს ორგანიზაციულ
მუშაობისათვის. მას არ შეაქვს ფუ
რაიმე ფონდებში კოლმეურნეობისათვ
საჭირო ახალი ტექნიკის ან მოწყობილ
ბის შესაძენად. მეტად დიდმნიშვნელოვ
ნია, რომ კოლმეურნისათვის დაწესებ
ლი არ არის სამუშაო საათების რაოდ
ნობა. მისი შემოსავალი კოლმეურნეობ
ში შრომადღეებზეა დამყარებული. შრ
მადღე შეიძლება წარმოადგენდეს ბევ
სახეობის სამუშაოს — ტექნიკის შეკ
თებას, პირუტყვის მოვლას, გზის მშ
ნებლობას თუ შეკეთებას, მიწის გარკვ
ული ნაკვეთის დამუშავებას და, რ
მთავარია, — ყურძნის მოსავლის აღ
ბას. შრომადღეების რაოდენობა, რ
მელიც კოლმეურნეს შეუძლია წლ
განმავლობაში გამოიმუშაოს, შეზღუდ
ლი არ არის. მაგრამ ნაგულისხმევ
რომ თვითეული გამოიმუშავებს სუ
ცოტა 150 შრომადღეს. თითო შრო
დღეზე კოლმეურნეს 20 მანეთი ეძლე
ამრიგად, კოლმეურნის მინიმალუ
წლიური შემოსავალი 3.000 მანეთია,
ქსიმუმი კი მის უნარზეა დამოკიდებ
ლი. საერთოდ რომ ვთქვათ, შრომადღ
გამომუშავება 6-8 საათში შეიძლ
მეტი წილი კოლმეურნენი კვირაში ათ
დე შრომადღეს იმუშავებენ.

ივანესა და მის ბრიგადირს საანგა
შო წიგნაკი აქვთ, სადაც გულმოდ
ნედ იწერება შრომადღეები. თუ რა
გაუგებრობა მოხდა, ივანეს შეუძლია
ლმეურნეობის გამგეობას მიმართოს.

ივანეს ცოლი და სიდედრი ხში
მუშაობენ მასთან ერთად მინდვრად
სპეციალურ სამუშაოებზე. თვითეულ
თგანს თავისი საანგარიშო წიგნაკი ა
ივანეს ოჯახმა, სადაც სამნი მუშაობე
გასულ წელს კოლმეურნეობაში ყველ
მეტი შრომადღე გამოიმუშავა. ოჯ
ხვდა 1.000-ზე მეტი შრომადღე, რა
მათ მთლიანად მიიღეს 20.000 მან
ნაღდ ფულად, ტონა სიმინდი, ნახევ
ტონა ხორბალი და ორმოცდაათი კი
გრამი ყველი. კოლმეურნეობის მიერ
რმოებული პროდუქცია მას სახელ
ფო საბითუმო ფასების საფუძველზე
ლევა. ივანემ რომ მოინდომოს ბაზა
გაყიდოს ეს პროდუქცია, იგი შეძლ
მიიღოს გაცილებით მეტი იმ 3.000 მ
თზე, რაც შეადგენს განსხვავებას ნ
ფულად მიღებულ თანხასა და იმ თა
შორის, რაც გამომუშავებულ შრ
დღეებზე ერგება. არავინ არ ეკითხ
რამდენი ფული მიიღო ბაზარზე გაყიდ
შემდეგ, იმის მიუხედავად, შრომადღ
ზე მიღებული საკოლმეურნეო პროდ
ტები გაყიდა თუ თავის მიწის ნაკვე
მოყვანილი.

ყოველივე ამაში არ შედის პრემი
თუ ივანემ ნორმას გადააჭარბა ბრიგ
ში მუშაობისას, მას წარმატება
ცემა. გასულ წელს ნორმა ჰექტა
შვიდ ტონა ყურძენს შეადგენდა.
ათი ტონა მოიყვანა. როცა კოლმეურ
ობამ სახელმწიფოს ყურძენი მიჰყ
ივანეს ნაღდ ფულად მისცეს პრ
3.200 მანეთი, რაც კოლმეურნეობის
ერ დამატებითი სამი ტონა ყურძნის
ყიდვით მიღებული თანხის 20 პროც
შეადგენდა.

* * *

ივანეს მოგზაურობა უყვარს
ფიქრობს მალე განახორციელოს თა
სურვილი — ინახულოს შორეული
ბილი ქალაქები, როგორიც მოსკოვ
ლენინგრადია. მას იმედი აქვს ამ
ხულში ტუპოლევის რეაქტიული თ
მფრინავით გაფრინდეს მოსკოვში.
ძილი 1.000-მდე მილია. ფრენის ხან
ლივობა სამ საათზე ნაკლებია. ბი
იქ გასაფრენად და უკან დასაბრუნებ
დაახლოებით 70 დოლარი ღირს. სა
თა კავშირში რეაქტიული თვითმფ
ვები შორ მანძილზე მოგზაურობის
ულებრივი საშუალება გახდა და მ
ლიოში ყველაზე ნაკლებ ფასებში.
ან ორი წლის შემდეგ ივანეს უნდა
ხიანად წავიდეს შავი ზღვის სანაპ

(დასასრული მე-4 გვერდზე)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“, № 47.

წიგნების მიმოხილვა

ცხოვრების მხარდამხარ

სიმონ წვერავას მოთხრობებისა და ნარკვევების კრებული „მჭედლების უბანში“ მწერლის თითქმის ოცდაათი წლის მუშაობის ერთგვარი შეჯამებაა.

ს. წვერავა საინტერესო ნარკვევებისა და ფაქტების კვალდაკვალ შექმნილი მოთხრობების ავტორია. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი მუშაობა ნარკვევის ჟანრში, რომელიც ყოველთვის იყო, არის და დარჩება მხატვრული სიტყვის ყველაზე ოპერატიულ უბნად.

თუ კრებულ „მჭედლების უბანში“ მოთავსებულ მოთხრობებს დაწერის თარიღის მიხედვით კი არა, მოქმედების დროის მიხედვით დავალაგებთ, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩება, თითქოს ისინი, მიუხედავად პერსონაჟების სხვადასხვაობისა, აგრძელებენ და ავსებენ ერთმანეთს.

ასეთია მოთხრობა „შინდის ჯოხი“. მოქმედება იშლება ცხრაასიანი წლების გარიჟრაჟზე, საქართველოში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის დროს.

მოთხრობაში „გაზაფხული ზამთარში“ ასახულია ოქტომბრის დღეები. ძველი კატორღელები ვლადიმერ სანებლიძე და თედორე სმირნოვი შლისელბურგის საპატიმროდან თავდახსნილები ზამთრის სასახლის იერიშში იღებენ მონაწილეობას, საბჭოების მეორე ყრილობაზე ლენინის სიტყვას ისმენენ და სამოქალაქო ომის ქარცეცხლშიც იწრთობიან.

სამოქალაქო ომის გმირულ წლებს ეხება აგრეთვე პატარა მოთხრობა „საზღვარზე“, სადაც დამაჯერებლად არის დახატული რუსი პატრიოტი ქალიშვილის ზინაიდას გმირობის ამბავი.

მოთხრობები „მჭედლების უბანში“ და „განთიადი“ დაწერილია 1930-1931 წლებში, სწორედ მაშინ, როცა სოფლად ხორციელდებოდა კოლექტივიზაცია, როცა საბჭოთა ხელისუფლების მტრების— კულაკების გამოხდომებმა გაბოროტებული ხასიათი მიიღო.

მოჯამაგირე ლევანი, „მიწის კომისარი“ გიორგი, ღარიბი გლეხები — ზოსია, ბათლომე ლომია, წითელარმიელი ჯოტო ჯიქია, ლუკა წულაია — არიან ადამიანები, რომელთაც „შეგნებული აქვთ კომუნის გამარჯვება“.

ორი პატარა მოთხრობა „მოლაშქრენი“ და „თედორე“ დაწერილია 1941 წელს და დიდი სამამულო ომის თემაზეა აგებული.

სამამულო ომს შეეხება აგრეთვე კრებულის ყველაზე კარგი მოთხრობა „გაწყვეტილი სიმი“. ჩვენი აზრით, ეს ნაწარმოები ერთ-ერთი საუკეთესოა ს. წვერავას შემოქმედებაში.

კრებულის თითქმის ერთი მეოთხედი ნარკვევებს უჭირავს. ამათგან საკოლმეურნეო ცხოვრებას ეხება ოთხი: „თორიდან ტაძრისამდე“, „ახალ მესხეთში“, „შეხვედრა ტარიბანაში“ და „მეაბრეშუმის ფიქრები“, რომლებიც დაიწერა 1954-1956 წლებში. ხოლო „ფედკა კორობკინი“ საწარმოს ცხოვრებაზეა დაწერილი, თითქმის 30 წლის წინათ, და აქტუალურია დღესაც.

ვრცელი ნარკვევი „შეხვედრა ტარიბანაში“ იმითაც არის საინტერესო, რომ ნარკვევს აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი სიუჟეტი, მასში მეტად კოლორიტული პერსონაჟებია დახატული.

მკითხველი კიდევ ბევრ საინტერესო მოთხრობასა და ნარკვევს მოელის მწერლისაგან.

ალ. სანადირაძე.

მნიშვნელოვანი ძეგლი

ამ დღეებში წიგნის მაღაზიებში გამოჩნდა ძველი ქართული კულტურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი — ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“. იგი წარმოადგენს XV საუკუნის ქართველი ექიმის, „მკურნალისა“ და „ბრძენთმთავარის“ ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის ორიგინალურ ნაწარმოებს, ადრინდელი ქართული სამედიცინო წყაროებიდან შექმნილს. ტექსტი ხელნაწერიდან გამოსაცემად დაამუშავა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა მიხეილ შენგელიამ.

წიგნას 5-68 გვერდი მოიცავს მიხ. შენგელიას კვლევითი ხასიათის შრომას „ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი და მისი „სამკურნალო წიგნი“. შრომაში დადგენილია ახალი მასალები ზაზას ბიოგრაფიიდან, მიკვლეულია მის სახელთან დაკავშირებული მემორიალური ძეგლები (რეზიდენცია, კარმიდამო, სასახლისა და კარის ეკლესიის ნაშთები და სხვ.), რომლებიც ფოტოსურათებით წარმოდგენილია წიგნში.

წიგნი, რომლის რედაქტორია პროფ. დ. მამამთავრიშვილი, კარგად არის გამოცემული, მისი ტირაჟია 5.000 ცალი და ღირს 19 მან. და 30 კაპ.

სადღეგრძელო საქართველოში

(დასასრული)

კურორტზე. თუ ექიმმა მას და მის ცოლს ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად დასვენება ურჩია, მათ ყველა შესაძლებლობა ექნებათ წავიდნენ ერთ-ერთ სანატორიუმში იმ მრავალი სანატორიუმიდან, რომლებიც სოჭში და ყირიმშია. კოლმეურნეობა ღირებულების 70 პროცენტს აუნაზღაურებს. ივანემ შედარებით დიდი ხანი არ არის, რაც სერიოზულად დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში იმოგზაუროს. ყოველთვის ისეთი მდიდარი კი არ იყო, როგორიც ახლა არის! მრავალი წლის განმავლობაში სახელმწიფო მცირე ფასს იძლეოდა ყურძენში. სამუშაო მძიმე იყო, ანაზღაურება კი მცირე. მაგრამ რამდენიმე წლის წინათ ბევრი რეფორმა განხორციელდა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ფასები ერთიორად და ერთისამად გადიდდა. გაჩნდა ბევრი ახალი სტიმული. მეორე დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იმაში მდგომარეობდა, რომ მთავრობა არ ავალებდა კოლმეურნეებს იჯარით აეღოთ მტს-საგან ტრაქტორები, სატვირთო ავტომანქანები და მძიმე მოწყობილობა. ახლა კოლმეურნეობებს შეუძლიათ ტრაქტორები და სატვირთო ავტომანქანები იყიდონ. შარშან კოლმეურნეობის გამგეობამ გადაწყვიტა ათი ტრაქტორი და ორი კომბაინი ეყიდა. ახლა კოლმეურნეებს კოლექტიურად აქვთ თერთმეტი სატვირთო ავტომანქანა და ორი მსუბუქი მანქანა. ერთი მანქანა კოლმეურნეობის თავმჯდომარისათვის არის განკუთვნილი, მეორე თვით კოლმეურნეებისათვის. ახლა უკვე 20 კოლმეურნე ჩაეწერა რიგში პირადი ავტომანქანების შესაძენად.

კოლმეურნეებს საერთო კრებებზე თვითონ გამოაქვთ კოლექტიური გადაწყვეტილებანი: გამგეობის წევრების არჩევაზე, ახალი მოწყობილობის ყიდვაზე და რა რაოდენობით, როგორი უნდა იყოს ნორმები მომავალ წელს, კოლმეურნეობაში ახალი წევრების მიღებაზე, ფულადი ფონდების განაწილებაზე და ა. შ. რადგან კოლმეურნეობაში 650-ზე მეტი ოჯახია და ზოგიერთ ოჯახში სამზე მეტი კოლმეურნეა, ეს იმას ნიშნავს, რომ 1.200 ან მეტი კაცი მონაწილეობს გადაწყვეტილებათა მიღებაში. ზოგჯერ კრებები გარეთ, ჰაერზე იმართება. ასეთი კრებები წელიწადში 5-6-ჯერ ეწყობა.

მმართველობის ნამდვილ ორგანოს, კოლმეურნეობის გამგეობას, ყველა კოლმეურნე ირჩევს ორი წლით. გამგეობა თავმჯდომარის, ხაზინადარისა და რამდენიმე არჩეული წარმომადგენლისაგან შედგება. გამგეობას სხდომები აქვს თვეში ორჯერ. იგი მიმდინარე სამუშაოს წარმართავს და გადაწყვეტილებებს იღებს. მას შეუძლია გადაწყვიტოს ტრაქტორის შეცვლა ან განიხილოს რომელიმე კოლმეურნის საჩივარი შრომადღეების არასწორად დარიცხვაზე, მოაწყოს რაიმე გართობა და ა. შ. კლუბში ყოველდღე აჩვენებენ კინოსურათებს. დროგამოშვებით „შრომაში“ ორკესტრი ჩამოდის. კოლმეურნეებსა და მათ ოჯახებს შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ გასტროლებზე ჩამოსული დასების თეატრალურ ან საცირკო წარმოდგენებს. თბილისის უნივერსიტეტს შეუძლია გამოგზავნოს მასწავლებელი ლექციების წასაკითხავად, და, რა თქმა უნდა, სულ მუდამ ეწყობა ჭიდაობის მატჩები. ქართველებს მსოფლიოში ყველაზე საშიშ მოჭიდავეებად მიაჩნიათ თავი. ამ მტკიცების სისწორის შემოწმება შეიძლება საგულისხმო, მაგრამ სარისკო საქმე აღმოჩნდეს. კინოში წასვლა ორიოდე მანეთი ღირს. უფრო სერიოზულ წარმოდგენებზე (როგორიც არის სიმფონიური ორკესტრი) ბილეთის ღირებულებამ შეიძლება 5 მანეთს მიაღწიოს ადგილის მიხედვით. ივანე და მისი ოჯახის წევრები ხშირად ასე ატარებენ დროს საშუალოდ კვირაში ორ საღამოს. ჩვეულებრივად იგი ლექციებზე არ დადის, ამჯობინებს წიგნები იკითხოს. მას უყვარს რომანები, უმთავრესად რუსული და ამერიკული. თარგმნილი წაუკითხავს ჰემინგუეის, სტეინბეკისა და ჯეკ ლონდონის ბევრი წიგნი. რამდენიმე წლის წინათ გატაცებული იყო მარკ ტვენით, მაგრამ ახლა უფრო სერიოზული ამერიკული რომანით დაინტერესდა. მისი ყველაზე საყვარელი ავტორი, რა თქმა უნდა, შოთა რუსთაველია, ქართველი ეროვნული პოეტი და გმირი, რომელიც შექსპირისა და დანტეს თანაბარი პატივისცემით სარგებლობს. ივანემ თქვა, რომ ზეპირად იცის ასამდე ტაეპი შოთა რუსთაველისა, რომელიც ესოდენ ლირიკულად წერდა ქართველი ხალხის ვაჟკაცობაზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე და შესანიშნავი ქართული მიწაწყლის მომხიბვლელობაზე.

მას შემდეგ, რაც თხრობა ივანეს ტიპიურ ოჯახზე დამთავრებული იყო, მერმა და კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კოლმეურნეობა გვიჩვენეს — დაგვატარეს ვენახები, ხორბლისა და სიმინდის ნათესები, საძროხე და საფრინველე. მთლიანად ყოველივე ამას არ შეეძლება ეწოდოს დიდად მექანიზებული თანამედროვე მეურნეობა, ამერიკული სტანდარტების მიხედვით. მაგრამ კოლმეურნეობა გართული იყო მუშაობით და უეჭველია მისი პროდუქტიულობა. (შემდეგში შევიტყე, რომ დიდი განსხვავებაა სხვადასხვა კოლმეურნეობის ნაყოფიერებისა და შესაძლებლობის დონეში. მაგრამ მეტი წილი კოლმეურნეობები კარგად მუშაობენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უკანასკნელ სამ წელიწადში მკვეთრად გადიდდა სახელმწიფო შესყიდვის ფასები).

კიდევაც რომ არ გავიხსენო, ნათელია, რომ ჩვენ ერთხელ კიდევ მივუსხედით სუფრას „შრომაში“ — წამოსვლის წინ. ღვინო და სიტყვები ნაკადად მოდიოდა, კეთილშობილური სადღეგრძელოები წარმოითქმებოდა. კვლავ იყო „სადღეგრძელოები ფეხზე დგომით“, „სადღეგრძელოები, რომლების დროსაც შეიძლება არ ადგე“, სადღეგრძელოები, როცა სასმისი ბოლომდე უნდა დაცალო, და სადღეგრძელოები, როცა შეიძლება ნელნელა მოსვა ღვინო და მსოფლიო ამბები კვლავ მსჯელობის საგანი გახდა. სულ ადვილად მივედით იმ შეთანხმებამდე, რომ თუ მოწვეულ იქნა კონფერენცია უმაღლეს დონეზე, იგი საქართველოში უნდა მოეწყოს. ღვინო, რა თქმა უნდა, „შრომისა“ უნდა იქნეს.

მეგობრობის ნიშნად

ერევანი, 24 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ.). მაღალი უღელტეხილებით და მთის ხეობებით მიდის კლაკნილი გზა საქართველოდან სომხეთის დედაქალაქში. პირველ ქუჩას, რომელსაც ეს გზა უერთდება, ერევნელები თბილისის გზატკეცილს უწოდებენ მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქის 1500 წლისთავის აღსანიშნავად.

თბილისის გზატკეცილს მგზავრი მიჰყავს ქალაქის ერთ-ერთ მაღალ წერტილთან, სადაც არის ერევნელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი — „გამარჯვების“ პარკი. მის ცენტრში აღმართულია ი. ბ. სტალინის მონუმენტი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია ჩვენს ქვეყანაში. აქედან მოჩანს საბჭოთა სომხეთის დედაქალაქის შესანიშნავი ხედი. მის მრავალ ქუჩას შორის გამოირჩევა სტალინის სახელობის პროსპექტი, აგრეთვე სერგო ორჯონიკიძის სახელობის 5-კილომეტრიანი მაგისტრალი, რომელიც ქალაქის ცენტრს აკავშირებს სტალინის სამრეწველო რაიონთან. ამ მაგისტრალის ორივე მხარეზე აგებულია ათობით ქარხნები და ფაბრიკები.

ერევნის რუკაზე სულ ცოტა ხნის წინათ გაჩნდა ქუჩა, რომელსაც ეწოდა დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის სახელი. იგი მიდის თითქმის კარმირ ბლურის ბორცვამდე, სადაც 2.800 წლის წინათ იყო ურარტუს სახელმწიფოს ერთ-ერთი მსხვილი კულტურული და სავაჭრო ცენტრი — ქალაქი ტეიშებაინი. ქუჩის გასწვრივ დიდი საბინაო მშენებლობა მიმდინარეობს. უახლოეს დროში აქედან მცირე მანძილზე შეიქმნება ერევნის ზღვა, რომლის ნაპირზე გაშენდება კულტურისა და დასვენების პარკი.

ქართველ ხალხთან მეგობრობის ნიშნად ერევნელებმა სიყვარულით უწოდეს მისი ღირსეული შვილების [illegible]

საზღვარგარეთ

მშვიდობის ვიზიტით

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება

პარიზი, 23 თებერვალი. (საქდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დღეს გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

ვიზიტი, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმეს

ამჟამად უკვე ცნობილია პროგრამა ვიზიტისა, რომლითაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ჩავა საფრანგეთში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიწვევით.

საფრანგეთის ხალხი მხურვალე მიღებას მოუწყობს ნ. ს. ხრუშჩოვს, როგორც იმ ქვეყნის წარმომადგენელს, რომელმაც ჰიტლერული ბარბაროსობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მთავარი როლი შეასრულა საფრანგეთის განთავისუფლებაში. ფრანგები არ ივიწყებენ, რომ სტალინგრადში გაისმა ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების პირველი ხმა. აღმოსავლეთის ფრონტის რუკაზე მღელვარებითა და იმედით დამყურე არც ერთ პატრიოტს არ ეეჭვებოდა მაშინ, რომ როცა წინ მოდიოდა საბჭოთა არმია, მასთან ერთად მოდიოდა თავისუფლება.

ფრანგი ხალხი ნ. ს. ხრუშჩოვის სახით შეხვდება იმ დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომელიც ისტორიაში პირველად ისწრაფვის გამოიყენოს თავისი ძლიერება არა იმისათვის, რომ თავს მოახვიოს მსოფლიოს თავისი ბატონობა, არამედ იმისათვის, რომ დაამყაროს მშვიდობიანი თანაარსებობა და მშვიდობა. მშვიდობის ამ პოლიტიკას ასახავს სრული განიარაღების გეგმა, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა წარადგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, გეგმა, რომლის რეალიზაცია სინამდვილედ აქცევდა იმას, რაზეც ადამიანები ათას წელს ოცნებობდნენ: მისი განხორციელება შესაძლებელს გახდიდა, რომ კაცობრიობის ჭკუა, შრომა, შემოქმედებითი უნარი გამოიყენონ არა მოსპობის [illegible] რების ყველა შესაძლებლობის შექმნისათვის, მთელ მსოფლიოში შიმშილის, ავადმყოფობათა და სიკვდილის მოსპობისათვის, იმისათვის, რომ ყოველ ადამიანს შეეძლოს მიიღოს მონაწილეობა კაცობრიობის კულტურის განვითარებაში.

არ შეიძლება, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვიზიტმა ხელი არ შეუწყოს ჩვენი ორივე ქვეყნის ინტერესებს, აგრეთვე ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს. საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. მათი თანხმობა, არის მოთხოვნა, რომელსაც გეოგრაფია და ისტორია განსაზღვრავს. წარსულში ორივე ჩვენს ხალხს საშიშროებასა და საფრთხეს უქმნიდა გერმანული მილიტარიზმი. აღორძინება ამ მილიტარიზმისა დასავლეთ გერმანიაში, სადაც კვლავ მეფობენ კრუპისა და ტისენის სამხედრო ტრესტები და რევანშს მოწყურებული ჰიტლერელი გენერლები, სადაც ხდება რასიზმისა და სვასტიკის აღორძინება, ცხადყოფს რომ რეალურია საფრთხე ამ მომენტში და მომავალში.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანხმობა საფრანგეთის უშიშროების საუკეთესო გარანტიაა. გარდა ამისა, უმაღლესი დონის თათბირის წინ ეს თანხმობა ჩვენს ქვეყანას შეუქმნიდა შესაძლებლობას, რომ დამოუკიდებელი დიდი სახელმწიფოს როლი შეასრულოს ამ თათბირზე.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანხმობა, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარება ჩვენს ორ ქვეყანას შორის შეესაბამება საფრანგეთის ინტერესებს.

საფრანგეთის ქალაქებსა და სოფლებში ჩვენი ხალხის მთელი მასა ემზადება სიხარულითა და იმედით შეხვდეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

მხოლოდ ცივი ომის ფანატიკური დამცველები და ისინი, ვისაც სურს აწარმოოს საშინაო პოლიტიკური მანევრები, გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაური მოწვეულია საფრანგეთში. ასეთი პოზიცია ეწინააღმდეგება საფრანგეთის ინტერესებს: იგი ასახავს ეროვნული ინტერესების ღალატის პოლიტიკას, რომელიც საფრანგეთს ართმევს შესაძლებლობას ისეთივე პირდაპირი ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან, როგორიც დამყარებული აქვთ სხვა ქვეყნებს. სწორედ ამ პოლიტიკის ლოგიკური შედეგია, რომ მისი ყველაზე თავგამოდებული მომხრეები ყოფილი ფაშისტი კოლაბორაციონისტები არიან.

ნ. ს. ხრუშჩოვის შეერთებულ შტატებში მოგზაურობამ და კემპ დევიდში მოლაპარაკებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ცივი ომის მომხრეთა უკან დახევას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

ჩვენს ხალხს მხურვალედ სურს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტმა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებამ, რომელიც მოეწყობა ამასთან დაკავშირებით, ხელი შეუწყოს მშვიდობის საქმის პროგრესსა და საფრანგეთის ინტერესებს.

გაუმარჯოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!

პოლიტიკური მდგომარეობა იტალიაში

რომი, 24 თებერვალი. (საქდესი). ექ მოელიან, რომ სენიის მთავრობა უახლოეს დღეებში გადადგება იმასთან დაკავშირებით, რომ ლიბერალებმა უარი თქვეს მხარი დაუჭირონ ამ მთავრობას. დღეს საღამოს გაიმართება მინისტრთა საბჭოს სხდომა.

როგორც გაზეთები წერენ, მთავრობის შიგნით უთანხმოება წარმოიშვა ამ გადადგომის მართებულობის შესახებ. ზოგიერთ მინისტრს — ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ყველაზე მემარჯვენე მიმდინარეობათა მომხრეებს — სურს, რომ მთავრობა დარჩეს ხელისუფლების სათავეში, რადგან, მათი აზრით საკმარისია ნეოფაშისტებისა და მონარქისტების მხარდაჭერა პარლამენტში.

მაგრამ ასეთი მდგომარეობის წინააღმდეგია მთავრობის წევრთა უმეტესობა, მათ შორის თვითონ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სენიი. როგორც გაზეთი „ავანტი“ წერს, სენიი ითვალისწინებს, რომ თუ იგი მთავრობაში დარჩა ახლანდელ პირობებში, ეს კიდევ უფრო დაახასიათებს მას როგორც „მემარჯვენეთა დაყენებულ კაცს“.

იმ „მემარცხენე“ მიმდინარეობათა წარმომადგენლები, რომლებიც უმცირესობას შეადგენენ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში, მოითხოვენ, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ შექმნას ახალი მთავრობა, რომელიც თავისი პროგრამით წააქეზებს სოციალისტურ პარტიას მხარი დაუჭიროს მას პარლამენტში ან „კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტი“ მაინც დაიცვას.

პროგრესული ძალები თავიანთ მხრივ ენერგიულად მოითხოვენ, რომ ეს კრიზისი სავსებით ნათლად გადაიჭრას. „კრიზისი, — წერს „უნიტა“, — წარმოიშვა მთავრობის ორიენტაციის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ეხება სახელმწიფოს სტრუქტურას და იტალიის დემოკრატიულ მომავალს... მთავარი როლი უნდა შეასრულოს საზოგადოებრივმა აზრმა; სახალხო მოძრაობამ უნდა დარაზმოს თავისი ძალები და მიაღწიოს იმას, რომ ნათლად გაირკვეს კრიზისის ვითარება და გადაიჭრას დემოკრატიული გზით“.

რომი, 24 თებერვალი. (საქდესი). დღეს საღამოს გაიმართა იტალიის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება წარუდგინოს რესპუბლიკის პრეზიდენტს განცხადება სენიის მთავრობის გადადგომის შესახებ.

ერთ სულ მოსახლეზე ლითონის გამოდნობაში საქართველო ბევრად უსწრებს კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიც არიან იაპონია და იტალია.



39 წლის გოლიათი

ნახ. გ. ლომიძისა.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მოხსენება კონგრესისადმი

ვაშინგტონი, 24 თებერვალი. (საქდესი). დღეს კონგრესს გადაეცა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მეორე ყოველწლიური მოხსენება კოსმოსის სივრცის გამოსაკვლევად შეერთებული შტატების მუშაობის შესახებ.

წერილში, რომელიც დართული აქვს მოხსენებას, მოყვანილია იმ სამუშაოთა მოკლე მიმოხილვა, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეასრულეს ამ დარგში 1959 წელს და აღნიშნულია, რომ მიმდინარე წელს გათვალისწინებულია მეტი ყურადღება მიექცეს რაკეტების გაშვებას მთვარისაკენ იმ მიზნით, რომ მომავალში მოამზადონ პლანეტებზე გაფრენა.

მოხსენების იმ ნაწილში, რომელიც მიძღვნილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობისადმი, დადებით ფაქტორად არის აღნიშნული, რომ შეიქმნა კოსმოსის სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტი. „იმ გარემოებამ, რომ გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მოიწონა შესაბამისი რეზოლუცია, — ნათქვამია მოხსენებაში, — საფუძველი ჩაუყარა იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უფრო ეფექტიანად განიხილოს კოსმოსის სივრცის პრობლემები. და უფრო მეტიც, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ამ საკითხზე ხანგრძლივი მოლაპარაკების ეს წარმატებითი დამთავრება შესანიშნავი მიღწევაა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შესწევს უნარი ორ ქვეყანას მიაღწიონ სასარგებლო შეთანხმებებს დიდად საინტერესო დარგებში“.

თეთრი ოლიმპიადა



ე. გრიშინის გამარჯვება

სკვო ველი, 24 თებერვალი. (საქდესი). დიდი დაძაბვით ჩაიარა შეჯიბრებამ ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში 500 მეტრზე ვაჟთათვის. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 15 ქვეყნის 46 სპორტსმენმა. ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიპოვა მსოფლიო რეკორდსმენმა ამ დისტანციაზე საბჭოთა სპორტსმენმა ე. გრიშინმა — 40,2 წამი. ეს შედეგი მსოფლიო რეკორდის განმეორებაა. უ. დისმეიმ (ამერიკის შეერთებული შტატები) მოიპოვა ვერცხლის მედალი. მან 500 მეტრი გაირბინა 40,3 წამში. მესამე ადგილზე გამოვიდა რ. გრაჩი (სსრ კავშირი, 40,4 წამი).

ფიგურულ მოციგურავეთა შეჯიბრება

სკვო ველი, 25 თებერვალი. (საქდესი). გუშინ ყინულოვან არენაზე დამთავრდა შეჯიბრების პირველი ეტაპი ფიგურულ ციგურაობაში ვაჟთა შორის. სავალდებულო პროგრამის სამი ვარჯიშის შემდეგ მტკიცედ ლიდერობს ჩეხოსლოვაკიის ფიგურისტი კ. დივინი — 415,7 ქულა. მეორე ადგილზეა ევროპის არაერთგზის ჩემპიონი ფრანგი ა. ჟილეტი — 403 ქულა. მესამე ადგილი უკავია მსოფლიო ჩემპიონს ჯ. ჯენკინსს (ამერიკის შეერთებული შტატები) — 400,2 ქულა.

ასპარეზობაში მონაწილეობას იღებს 10 ქვეყნის 19 ფიგურისტი (ამ შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენები არ გამოდიან).

კომენტარს უკეთებენ რა ვაჟთა შორის სავალდებულო პროგრამით შეჯიბრების პირველ შედეგებს, სპორტული კომენტატორები აღნიშნავენ, რომ კ. დივინმა „სერიოზულ საფრთხეში ჩააგდო ამერიკელთა ბატონობა ფიგურულ ციგურაობაში“.

ტრამპლინზეა კობა წაქაძე

24 თებერვალს ზამთრის ოლიმპიადის მონაწილე მოთხილამურეებმა მოაწყვეს სავარჯიშო ხტომები დიდი ოლიმპიური ტრამპლინიდან.

საუკეთესო შედეგი აჩვენა ოქროს ოლიმპიური მედლის ერთ-ერთმა მთავარმა პრეტენდენტმა ფინელმა ნ. ჰალონენმა, რომელიც 91,5 მეტრზე გადახტა. მისმა თანამემამულემ ვ. კენკჰონენმა და იტალიელმა დ. ზორდომ აჩვენეს 90,5 მეტრი. ფინელი ე. კირიენენი გადახტა 90 მეტრზე. ი. კიარკინენი (ფინეთი), ნორვეგიელი ტ. იგესეტი, შვედი რ. სტრანდბერგი და გერმანელი მ. ბოლკარტი გადახტნენ 89,5 მეტრზე. ჰ. რეკნაგელი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ორჯერ გადახტა 89 მეტრზე.

კობა წაქაძე გადახტა 87 მეტრზე, ნიკოლოზ კამენსკი — 84 მეტრზე, ნიკოლოზ შამოვი — 83 მეტრზე, დიმიტრი კოჩკინმა (ყველა სსრ კავშირიდან) აჩვენა 78,5 მეტრი.

[illegible] სლალომისტები

ოლიმპიური ჩემპიონის წოდება სპეციალურ სლალომში მოიპოვა ე. ჰინტერზეერმა, რომელმაც პირველი ოქროს მედალი მოუტანა ავსტრიას. მან აჩვენა დრო 2 წუთი და 08,9 წამი. ვერცხლის მედალი მოიპოვა ხ. ლაიტნერმა (ავსტრია). მისი შედეგია 2 წუთი და 10,3 წამი. მესამე ადგილზე გამოვიდა შ. ბოზონი (საფრანგეთი) — 2 წუთი და 10,4 წამი.

შემდეგი ადგილები დაიკავეს ლ. ლაიტნერმა (გერმანია) — 2 წუთი და 10,5 წამი, ი. შტიგლერმა (ავსტრია) — 2 წუთი და 11,1 წამი, გ. პერიამ (საფრანგეთი) — 2 წუთი და 11,8 წამი.

ჰოკეისტთა ტურნირი

გაიმართა ჰოკეისტთა ფინალური ტურნირის მორიგი ტური. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და შვეციის გუნდები. პირველ ორ პერიოდში ვერც ერთმა გუნდმა ვერ გახსნა ანგარიში. მესამე პერიოდის დასაწყისში ნ. ნილსონმა პირველი შაიბა გაიტანა საბჭოთა გუნდის კარში. 6 წუთის შემდეგ ლოქტევმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო მე-11 წუთზე ალექსანდროვმა კიდევ ერთი ქულა მოუტანა სსრ კავშირის გუნდს. შვედი ჰოკეისტები საპასუხო იერიშზე გადმოვიდნენ. ნ. ნილსონმა — ამ მატჩის გმირმა — თავიდან აიცდინა შვედების დამარცხება, გაიტანა რა მეორე შაიბა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2:2.

ამერიკის ჰოკეისტებმა დაამარცხეს გერმანიის გუნდი 9:1, კანადელებმა — ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტები 4:0.

უკანასკნელი საათი

მიმდინარე წლის ერთ-ერთი უდიდესი ასპარეზობა — ზამთრის VIII ოლიმპიადა დასასრულს უახლოვდება. ყოველდღიურად სკვო ველიდან მოდის ახალ-ახალი სასიხარულო ცნობები, რომლებიც გვამცნობენ საბჭოთა სპორტსმენების წარმატებას.

გუშინ გაიმართა ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული მორიგი შეხვედრები. ყურადღების ცენტრში იდგა შეჯიბრება ჩქაროსნულ ციგურაობაში ვაჟთათვის 5.000 მეტრზე. მიუხედავად იმისა, რომ არახელსაყრელი ამინდი იდგა, ბრძოლა მძაფრი და შეუპოვარი იყო, ხოლო სპორტული მაჩვენებლები მაღალი.

ამ ასპარეზობაში თავი ისახელა ახალგაზრდა საბჭოთა მოციგურავემ ვ. კოსიჩკინმა, რომელმაც აჩვენა ყველაზე უკეთესი დრო (7 წუთი და 51,3 წამი) და ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა სათხილამურო ესტაფეტა ვაჟთათვის 4×10 კილომეტრზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 11 ქვეყნის გუნდი. აქ უძლიერესები იყვნენ ფინელი მოთხილამურეები, რომლებმაც ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვეს ნორვეგიელმა სპორტსმენებმა. სსრ კავშირის გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა.

გუშინ მოეწყო აგრეთვე შეხვედრები ჰოკეიში და ფიგურულ ციგურაობაში ვაჟთათვის.

სსრ კავშირის გუნდს დღემდე გამართულ შეხვედრებში მოპოვებული აქვთ 6 ოქროს მედალი. საბჭოთა სპორტსმენები დიდათ უსწრებენ მეტოქეებს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში.

შეხვედრა მეცნიერთან

გუშინ საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართა მწერლების შეხვედრა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან პროფესორ ევგენი ხარაძესთან.

შეხვედრა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ირაკლი აბაშიძემ.

პროფ. ე. ხარაძემ მწერლებს წაუკითხა ლექცია „დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური რაკეტები“, რომელმაც მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ლექციის შემდეგ მომხსენებელმა პასუხი გასცა მწერლების შეკითხვებზე.

XXVII ჩემპიონატი

უკანასკნელი ტური

ლენინგრადი, 25 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს ლენინის ქალაქის პირველი ხუთწლედის სახელობის კულტურის სახლი ვერ იტევდა ჭადრაკის მოყვარულებს. აქ გაიმართა ჩვენი ქვეყნის XXVII საჭადრაკო პირველობის ფინალის უკანასკნელი, მეცხრამეტე ტური. დასკვნითი შეხვედრებისადმი განსაკუთრებული ინტერესი განაპირობა სატურნირო ცხრილში ლიდერთა მდგომარეობამ.

პირველ რიგში ლენინგრადელთა ყურადღება მიპყრობილი იყო გროსმაისტერ ვ. კორჩნოისა და ა. სუეტინის პარტიისადმი. ა. სუეტინი ენერგიულად იცავდა თავს, მაგრამ ვ. კორჩნოიმ შეძლო პოზიციური უპირატესობის მოპოვება. პარტია არ დამთავრებულა.

გადაიდო აგრეთვე ჩემპიონობის ორი დანარჩენი პრეტენდენტის ტ. პეტროსიან - ნ. კროგიუსისა და დ. ბრონშტეინ - ე. გელერის პარტიები. გადადებულ პოზიციაში ტ. პეტროსიანსა და ე. გელერს მოსაგები მდგომარეობა აქვთ.

ბ. გურგენიძემ დამარცხება განიცადა ვ. ბაგიროვთან, ლ. შამკოვიჩმა — ი. სახაროვთან. ვ. ლიბერზონ - ა. ლუტიკოვისა და ი. ავერბახ - ბ. სპასკის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ხვალ მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება და ჩემპიონატის საზეიმო დახურვა.

არენაზე არიან სამი თაობის მოჭიდავეები

ჩვენს ხალხს დასაბამიდან უყვარს თავისი ეროვნული — ქართული ჭიდაობა, რომელშიც ჰარმონიულად არის შეხამებული ვაჟკაცობა, გამძლეობა, სისხარტე. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა 23 თებერვალს თბილისის სახელმწიფო ცირკში გამართულმა ასპარეზობამ, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 39-ე წლისთავს მიეძღვნა. მაყურებლები შეუნელებელი ინტერესით ადევნებდნენ თვალს სამი თაობის მოჭიდავეთა ორთაბრძოლას.

იწყება პარადი. არენაზე გამოდიან ცნობილი სპორტსმენები, რომლებსაც არაერთხელ გაუმარჯვნიათ შეჯიბრებებში — შ. ჯიქიაშვილი, ც. ნაკაშაშვილი, ზ. ბაკურაძე, პ. პაპუაშვილი, მ. ქამხაძე, ა. მიხანაშვილი, ვ. ბახუტაშვილი. მათ მოჰყვებიან საშუალო თაობის მოჭიდავეები — საქართველოს 1959 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ა. კიკნაძე, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი ლ. კაციაშვილი, ა. ოდიშვილი, გ. ნავროზაშვილი, გ. სიმონიშვილი, გ. რომელაშვილი, ბ. მაისურაძე, გ. სულაშვილი, ა. ქიბროწაშვილი და სხვები. აქვე არის მათი ღირსეული ცვლა — მოზარდები, რომლებიც თავისი მამებისა და ძმების დახმარებით ყოველდღიურად ეუფლებიან ჭიდაობის ხერხებსა და ილეთებს.

ამ დღეს ერთმანეთს შეხვდა 31 წყვილი. ჭიდაობის კარგი ტექნიკა გამოამჟღავნეს და თავიანთ პარტნიორებზე ეფექტური გამარჯვება მოიპოვეს ზ. მაისურაძემ (გორი), ჩ. ქუცნიაშვილმა (თბილისი), გ. სიმონიშვილმა (გლდანი), პ. პაპუაშვილმა (ხაშური), გ. რომელაშვილმა (გორი), ა. კიკნაძემ (თბილისი), ლ. კაციაშვილმა (კასპი), ა. ოდიშვილმა (გორი) და სხვ.

დასასრულ შეჯიბრებაში გამარჯვებული მოჭიდავეები და ძველი სპორტსმენები დაჯილდოებულ იქნენ სამახსოვრო სურებით.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

გთხოვთ ნება დაგვრთოთ გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება მხცოვანი მწერლის მარიამ გარიყულის გარდაცვალების გამო.

მარიამ გარიყულის ოჯახი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

26 თებერვალი

თეატრები

ოპერისა და ბალეტის — გედის ტბა, რუსთაველის სახელობის — როცა ასეთი სიყვარულია, მარჯანიშვილის სახელობის — ჩარლის დეიდა, გრიბოედოვის სახელობის — თხუნელა, მუსიკალური კომედიის — ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს (რკინიგზელთა სახლში), სანკულტურის — არეული დღე, მოზარდ მაყურებელთა ქართული — კომეტა ბ-2 (აბონ. № 50, 7 ს.), თოჯინების ქართული — სიცოცხლის ყვავილი (11 ს. და 2 ს.), თოჯინების რუსული — ტყის ზღაპარი (11 ს. და 1 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, თბილისი, საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კლუბი, სპარტაკი — ამბავი ერთი ქალიშვილისა, ოქტომბერი, კომკავშირელი — განკიცხულნი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი — მე შენ გეძებ, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), საქართველო (წითელი დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი — პატარა კუნძულზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზაფხულო), დიდუბე, კომუნარების ბაღი, თანამგზავრი — შემთხვევა ჰეროლშტაინში, ოფიცერთა სახლი — საშინაოქომშებიანი გმირი, კოლმეურნე — მეორე ქალი და მწყემსი.

* * *

ტელევიზია

19.00 — „სკოლების დასახმარებლად“ — „ჟანგბადი და მისი გამოყენება“, 19.15 — გადაცემა, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის 50 წლისთავისადმი — „საქართველოს მშრომელ ქალთა პირველი ყრილობა“, 19.25 — კინონარკვევი, 19.45 — გადაცემა ციკლიდან — „გამოჩენილი კინომსახიობები“ — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ლიუბოვ ორლოვა, 20.35 — უკანასკნელი ცნობები, 20.45 — ახალი მხატვრული ფილმი „სიყვარულს გაფრთხილება უნდა“.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 8 მარტს, დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **ნისა ხანუმ მამედ აგა კიზი აგაევა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: «Скарлатинозные отиты».

ა. წ. 22 მარტს დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **ოთარ ნაუმის-ძე შაქიანიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**ბალნეოფაქტორების გავლენა ინდუცირებული სიმსივნეების ზრდაზე ექსპერიმენტში**“.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-37-46, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღების — 3-64-42, ჯამაშების — 3-06-88.

უე 01558

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.